საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 11 იანვარი. 2017 წ. №6 (8143), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხელი-სუფლებავ, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!

6-7



იაკობ ლეჭავა: ლმერთი არ მაბრალებს, სამშობლო არ გაყიდოთ!

საინტერესო დროში ვცხოვრობთ!

თვითმარქვია ბომონდებს მხოლოდ გაურკვეველი ასალგაზრდობა მოერევა!

3



ნუგზარ ფოფხაძე: ბათუმი საკუთარ თავში უნდა გიყვარდეს და არა შენი თავი მასში!

2

ვინ არის თეთრი სახლის ახალი პატრონი

8

50 წლის წინათ ჰომეროსის ენაზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსანი“ ახლა გამოიცა!

5

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ისრაელის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი რუვენ რივლინი მიიღო, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე ისაუბრეს. განიხილეს საქართველოსა და ისრაელში არსებული ვითარება, ისაუბრეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზეც. რუვენ რივლინის განცხადებით, ისრაელის სახელმწიფო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტმა ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობაზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფების აქტიური მუშაობა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მედიასთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაღრმავებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან რუსეთის საოკუპაციო ძალების ქმედებებზე რეაგირებას ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აღშფოთებას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთში მე-19 საუკუნის ეკლესიისა და პოლონელთა სასაფლაოს დანგრევის გამო და აღნიშნულ ფაქტს შეგნებულად განხორციელებულ ვანდალიზმის აქტს უწოდებს.

„გამოვხატავთ უკიდურეს აღშფოთებას რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთში, სოფელ წებელდაში ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურებასთან დაკავშირებით. სამხედრო პოლიგონის მოწყობის მიზნით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა დაანგრიეს მე-19 საუკუნის ეკლესია და პოლონელთა ისტორიული სასაფლაო.

ეს არის შეგნებულად განხორციელებული ვანდალიზმის აქტი, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ჰაგის 1954 წლის კონვენციის პირობებს.

მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სათანადოდ შეაფასონ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო ქმედებები და მოახდინონ მათზე შესაბამისი რეაგირება“...

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობა გაფართოვდება

თურქეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრა გამართა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ბინალი ილდირიმთან. შეხვედრისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველო-თურქეთის სტრატეგიულ პარტნიორობას და აღნიშნეს ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის პოზიტიური დინამიკა.

ბინალი ილდირიმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თურქეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერა. მიხეილ ჯანელიძემ მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს საქართველოს საკითხებზე თურქეთის მტკიცე პოზიციისთვის როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში.

შეხვედრისას მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს, ხელი შეუწყონ სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ორხმრივი თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამ მხრივ მიმოხილულ იქნა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფართოების სპეციფიკა, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის პირველი ეტაპის დასრულების სავარაუდო ვადები და სხვა ეკონომიკური პროექტების იმპლემენტაციის მიმდინარეობა.

ორივე მხარემ დაადასტურა მზაობა, გაგრძელდეს მუშაობა მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში, რომლის მორიგ შეხვედრას საქართველო მიმდინარე წელს უმასპინძლებს.

პარლამენტი პრეზიდენტის ანგარიშს თებერვლის დასაწყისში მოისმენს

საგაზაფხულო სესიის დასაწყისში პარლამენტი პრეზიდენტს მოუსმენს. როგორც უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ აღნიშნულის კომენტირებისას განაცხადა, პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენა პარლამენტში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით შედგება. მისივე თქმით, ის დიდი ინტერესით ელოდება ამ მოხსენებას, ხოლო დანარჩენი დეტალების შესახებ უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის პარლამენტის წინაშე გამოსვლას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს.საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს – 7 თებერვალს იხსნება.

◎ მოყვარეს პირში უძრახე...

ბათუმი საკუთარ თავში უნდა გიყვარდეს და არა შენი თავი მასში!

ამთავითვე ვიტყვი, თანაც დაბეჯითებით: ბათუმს – ქათქათას (ყოფილს), ბათუმს – თეთრს (ყოფილს), ბათუმს – თბილს (ყოველთვის) არ ეკადრება ასეთი არაქათქათა, არათეთრი, არათბილი, არაყურადღებიანი პატრონობა!

ეს დღეები ბათუმში გახლდით.

რამდენიმე ევროპელი მეგობარი სტუმრობდა ქალაქს. საქმეზე ორიენტირებული, ინვესტიციის ჩადებაზე განწყობილი...

ბევრი მაქვს მათთან ნასაუბრები.

ჰოდა, საკუთარი თვალით უნდოდათ დარწმუნება, რამდენად მართალი იყო ჩემეული ლეგენდები.

დაკვირვებულ ხალხს არაფერი გამოეპარება: კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელიო...

ის რომ საერთო ყოფითი კულტურის უკეთესობისკენ შეცვლას დრო ჭირდება, ეს გასაგებია. მოსახლეობამ რომ თავის სადარბაზოებს უნდა მოუაროს – ესეც! მაგრამ ელემენტარული სისუფთავის დაცვას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ვინ უნდა მიხედოს? პასუხი ცალსახაა: იმან, ვისაც თავი უნდა ებას, თავი (!), ვისაც ქალაქი უნდა ტკიოდეს, უხაროდეს და საქმის კეთება უნდა იცოდეს!!!!

ის რომ თვეების განმავლობაში დადათხრილ ქუჩაზე არამცთუ მანქანით, არამედ ფეხით გავლასაც კი ოსტატობა და მოხერხება ჭირდება, განსაკუთრებით ნაწვიმარზე, ამას ბავშვიც მიხვდება...

ბათუმის სიღრმე ისევ მოუვლელი, ისევ ჭუჭყიანი... , სავაჭრო ქუჩებში ხომ გავლა არ შეიძლება.

არაფერი შეცვლილა!..

ისევ ის „პოკაზუხა“, ისევ „პოტიომკინის სოფელი“...

აბსოლუტურად არ იგრძნობა არც ახალი სიო, არც ახალი სუნთქვა... არც „ქართული ოცნების“ გამარჯვება, არც... ერთია, რომ ძველი „ვიპ-პერსონის“ მსგავსად, ახალ „ვიპ-პერსონას“ ქოლგის დამტარებელი სპეციალური „მსახური“ არ დაჰყვება. ჯერჯერობით!!!!

ბულვარი რომ ბულვარია, საამაყო, მომხიბლავი, იმასაც კი დაუკარგავს პეწი...

ტრანსპორტის მოძრაობა – „სასწაული“, ნიუიორკში, პარიზში არ მინახავს ის ინტენსიური მოძრაობა, რასაც ბათუმში ნახავ. არადა, მანქანების რაოდენობაში არ არის საქმე, პრობლემა წესრიგისა და დისციპლინის დეფიციტია. თვითშეგნება და დამრღვევთა მიმართ მკაცრი დამოკიდებულებაა გადამწყვეტი! მსგავსი თავხედობა თბილისელ მძღოლებსაც კი არ მოსდით ფიქრად, თუმც უწესრიგობით ისინი რომ გამოირჩევიან, ეს ცნობილია. პატრული რას აკეთებს, კაცმა არ იცის...

ცალკე თემაა საზოგადოებრივი კვების ობიექტები. კი, ლარის კურსმა ფასები შეცვალა, მაგრამ ვერაფერი გამართლება აქვს იმ ფასებს, სულ ჩვეულებრივი, თავმდაბლური საუზმისთვის რომ ითხოვენ მეპატრონეები. არაპრივილეგიურ კაფეებშიც კი. არაფერს ვამბობ სერიოზულ რესტორნებზე. იქ კი ფასების ნამდვილი „ხანძარი“ მძვინვარებს...

ჰოდა, ჩემმა სტუმრებმა, რომლებიც ტურისტულ ბიზნესში ჩახედულები არიან, დაასკვნეს: ასე თქვენ შორს ვერ გაფრინდებითო...

არადა, ამინდი შესანიშნავი იყო, 17 გრადუსამდეც კი ავიდა სითბო... კიდევ კარგი, ბათუმის მერიას ბუნებაზე გავლენა არა აქვს, თორემ ერმაკოვები, სიბაშვილები და ძმანი მისნი, მართლა უნიათონი, მასსაც „გააფუჭებდნენ“...

ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბათუმს ნამდვილი, გულშემატკივარი, გულანთებული, თავიანი, ფიქრიანი პატრონი არ ჰყავს... სწორედ ამიტომ დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე: ბათუმს – ქათქათას (ყოფილს), ბათუმს – თეთრს (ყოფილს), ბათუმს – თბილს (ყოველთვის) არ ეკადრება ასეთი არაქათქათა, არათეთრი, არათბილი, არაყურადღებიანი პატრონობა!

„ქართუ-ბანკში“ ნამუშევარმა ხალხმა, ეტყობა, ვერ გაამართლა, არც ავადსახსენებელი „სიმამრების“ პროტეჟეები წყვეტენ ვარსკვლავებს... დავიჯერო, ბათუმლებიდან არავის დაუმთავრებია კომაროვის სკოლა, ჩვენი ახალი კადრების სამჭედლო?

დასკვნა ერთია: ისე არ უნდა წაიყვანო საქმე, რომ მავანს ასლანის ნოსტალგია გაუჩნდეს!!!!

ბათუმს პატრონი ჭირდება, რომელსაც, როგორც ერთი მაგარი კაცი ამბობდა, საკუთარ თავში უყვარს მშობლიური ქალაქი და არა მასში – თავისი თავი!!!!



სხვა თემებზე, მოგვიანებით...

ნუგზარ ფოფხაძე,
ბათუმი-თბილისი

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ოპერირებით მსოფლიო კლასის პორტოპერატორი SSA MARINE დაინტერესდა

კომპანია ამ თემაზე, მოლაპარაკებებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ აწარმოებს. საქართველოში იმყოფება SSA Marine-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბობ უოთერსი, რომელსაც დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა.

აშშ-ის უმსხვილესი სანავსადგურე სატერმინალო ოპერატორის, SSA Marine-ის სათავო ოფისი სიეტლში მდებარეობს. კომპანიის მფლობელობაშია ტერმინალები მსოფლიოს 9 ქვეყანაში. ოფიციალური ინფორმაციით, SSA Marine წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ამუშავებს. SSA Marine-ის საქმიანობის სფეროს ასევე განეკუთვნება მშრალი ტვირთის დამუშავება და სამგზავრო-საკრუიზო გადაყვანები.

კომპანიის პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული პროექტია, რომლის წარმატებით განხორციელებისთვის, მსოფლიო კლასის პორტოპერატორის მოზიდვა მნიშვნელოვანია.

პრემიერმა ასევე ისაუბრა საქართველოს მზარდ გეოპოლიტიკურ პოტენციალზე და სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მათ შორის, კერძო სექტორთან ერთად, ახორციელებს.

ქართული მატყლი ევროკავშირის ბაზარზე გავიდა

ევროკავშირში ქართული მატყლის გატანას წინ უძღოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები საკანონმდებლო დაახლოებისა და შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით. შედეგად, ევროკავშირმა დადებითად შეაფასა საქართველოს სახელმწიფო კონტროლის სისტემა და შეიყვანა მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ნებადართულია მატყლის ექსპორტი ევროკავშირის ტერიტორიაზე.

„მატყლი პირველი ცხოველური წარმოშობის პროდუქტია, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე გავიდა. მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოდან დიდ ბრიტანეთში 22 ტონა დაუმუშავებელი მატყლის ექსპორტი უკვე განხორციელდა. მატყლის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად საჭიროა კომპანიებმა შესაბამისი მოთხოვნები დააკმაყოფილონ, რასაც ზედამხედველობას უწევს სურსათის ეროვნული სააგენტო და შესაბამის რეკომენდაციებსაც უწევს. აღნიშნული გადაწყვეტილებით ევროკავშირმა საქართველოს დიდი ნდობა გამოუცხადა, რაც მეცხვარეობის დარგის სტიმულირებას და ქართული მატყლის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას განაპირობებს,“ – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ქვეყნის მთავარმა ვეტერინარმა მიხეილ სოხაძემ.

ევროკავშირის ქვეყნებში მატყლის შეტანას ევროკავშირის №142/2011 რეგულაცია განსაზღვრავს. ასევე, 2016 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაასრულა ფორმალური პროცედურები და უკვე შესაძლებელია ქართული თაფლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე.

თვითმარქვია ბომონდებს მხოლოდ გაურყვნელი ახალგაზრდობა მოერევა!

თფილისური ძველით ახალი წელი

ძვესათაურში კორექტურა არ გეგონოთ, სიტყვა „თფილისი“ ახალი ბრენდია და ის ძალად სვეტების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ე.წ. მუსიკათმცოდნემ, ქ-ონმა მარინა ბერიძემ ძველით ახალი წლისთვის მოგვიძღვნა.

„საინტერესო დროში გეცხოვროსო“, მიმართავდნენ ძველი ჩინელები თავიანთ მტერს და ორი კვირაც არ გასულა 2017 წლის დადგომიდან და უკვე იმდენი რამ მოხდა, მგონი ჩვენზე ახდა ეგ წყევლა.

დავიწყოთ თავიდან.

პირველმა ახალი წელი ჯონ მაკკეინმა მოგვილოცა. სოციალურ ქსელში კი იხუმრეს, „მაკკეინის წასვლა დაგვებედოსო“, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და ყველაფერს თავისი სახელი რომ დავარქვათ, ურიგო არ იქნება.

რას ემსახურებოდა მაკკეინის ვიზიტი?

არც მეტი — არც ნაკლები, ეს ვიზიტი იყო ფერადი რევოლუციების შემოქმედთა ორგანიზებული და ნაციონალური მოძრაობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა:



1. თავიანთ შიდა პარტიულ დაპირისპირებაში, მხარეებს შორის ამერიკელი ლობისტების გადანაწილება.

2. ხელისუფლების წინ კიდევ ერთხელ კუნთების ათამაშება.

ჯონ მაკკეინი არ არის არც მადაგასკარის წარმომადგენელი და არც რომელიღაც რიგითი ქვეყნის სენატორი. მისი ვიზიტი ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ტერიტორიული პრობლემები, არის ვიზალიბერალიზაციის მოლოდინში და 2017 წელს ელოდება ინვესტიციებს, არის ამ სამივე სასიცოცხლო საკითხის „პირდაპირი დარტყმის“ ქვეშ დაყენება.

ხელისუფლების წარმომადგენლების გაოგნებული და დაბნეული სახეებიდან პირდაპირ ჩანდა, რომ მიუხედავად პრესაში გაკეთებული ანონსებისა, ამ ვიზიტის შესახებ არავინ იყო ინფორმირებული.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კერძო ვიზიტით შეიძლება ჩამოვიდეს ზიმბაბველი სენატორი, დათვრეს და ნიგერიელები დათვალოს, მაგრამ მაკკეინის ჩამოსვლა, მისი შეხვედრები ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან და მისვლა კონფლიქტის ზონაში, არის პირდაპირი პროვოკაცია, რომლის შესახებაც ხელისუფლება აზრზე არ იყო.

მივმართავთ მათ, ვისაც ხელეწიფება ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი, საგარეო ურთიერთობების დალაგება:

— მოაცილეთ საგარეო საქმეთა სამინისტროდან მხოლოდ შოპ-ტურებში მოსეირნე „დიპლომატები“, რომლებმაც ყავის მოდუღებაც არ იციან. გამოფხიზლდით და რეალურ საქმეს მიხედეთ!

* * *

გაგიკვირდებათ და მეორე „თემა“, რომელმაც ამერიკელი სენატორის ვიზიტი გადაფარა, იყო მომღერალ ვერა ბრეჟნევას მიერ ნამღერი „ჩიტო გვრიტოს“ რემიქსი, რომელიც მან „Голубой огонек“-ის საახალწლო გადაცემაში ვალერი მელაძესთან ერთად იმღერა.

თქვენ წარმოიდგინეთ და ვერა ბრეჟნევას „ჩიტო-გვრიტომ“ ნაცმოძრაობის დაშლასთან დაკავშირებით, ამ პოლიტიკური ძალის „ლიდერების“ განცხადებებიც კი გადაფარა. დიახ, გადაფარა, რადგანაც თითქმის მთელი საზოგადოება, სამ ბანაკად გაიყო. ერთნი (უმცირესობა) ლანძღავდნენ, თათხავდნენ და ვერა ბრეჟნევასგან სიმღერის უფლების სანაცვლოდ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნებას მოითხოვდნენ. მეორენი (უმრავლესობა) რუსეთთან დიპლომატიური უერთიერთობის აღდგენით აპელირებდნენ, ხოლო მესამენი, ანუ „შუაშისტები“, ახალი წლის შემობრძანების სადღეგრძელოს სვამდნენ და ძველ რუსულ ესტრადას უსმენდნენ.

ამ თემას ერთი ფეისბუქ-სტატუსით დავასრულებ: **ვისაც რუსულ ესტრადაზე ან ელტონ ჯონის სიმღერებზე არ გიცეკვიათ, დაე, ამ წელიწადში მარტო ნინა წკრიალაშვილს და სტეფანეს სიმღერები დაგებედოთ!**

* * *

ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი, რომელიც მუდამ დღის წესრიგში იყო და როგორც იქნა რეალური გამოსწორების წინაშე დადგა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის არჩევა იყო. დიდ წინასიტყვაობას არ გავაკეთებ, რადგანაც ამ თემის შესახებ არა მარტო მე, თითქმის ყველა, ვისაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბედი აღელვებდა, საკმაოდ მკაცრად საუბრობდა და პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძველი ბორდი, რომელიც თავად იყო ჯანსაღი პროცესების დამამუხრუჭებელი და სიახლის მოწინააღმდეგე (სხვის მონაყოლს არ გეუბნებით, რაღაც თემაზე მე თვითონ მქონდა საუბარი ერთერთ მათგანთან და აქედან გამომდინარე ზუსტად ვიცი), სასწრაფოდ შესაცვლელია. სასწრაფოდ შესაცვლელი და ამისთვის თუნდაც ის უაზრო „ცვლილებაც“ კმარა, კანდიდატების ნარკოტესტთან დაკავშირებით რომ მიიღეს.

კანდიდატებში იყო ერთი-ორი ადამიანი, ვის პროფესიონალიზმში, შემოქმედებით აზროვნებაში და მართვის უნარებში სრულიად დარწმუნებული ვიყავი. გამარჯვებული ვასილ მაღლაფერიძე, სწორედ ერთ-ერთი მათგანია.

გაგიკვირდებათ, და ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების, ვინც ვასიკო მაღლაფერიძის დანიშვნასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ საზმაუ მთლიანად ხელისუფლების კონტროლქვეშ გადავაო, „Время“-ს დაბრუნებას „ელოდებიან“ და ამით „გვაშინებდნენ“.

მესმის იმიტომ, რომ ვიცი, ამ ხალხის საკმაოდ დიდ ნაწილს საზმაუ სულ ფეხებზე ჰკიდია. მათი რეალური სამიზნე არა მაღლაფერიძე, ან ხელისუფლება, არამედ ბიძინა ივანიშვილია, მაგრამ „მამალი“ ნაცების გარდა ამის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავენ, ხოლო გარკვეული ნაწილი კი დაკარგულ თბილ ადგილს მისტირის და საკუთარი მერკანტილური ინტერესების შერყევას „სტვენის სურვილით“ (კრეატიულობის გამოხატვა, ოღონდ მხოლოდ სიტყვიერად) და ქვეყნის ბიუჯეტზე „ზრუნვით“ ფუთავენ.

გავიმეორებ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფეხებზე ჰკიდიათ, რადგანაც ყველამ იცის, თუ რა ჭაობი იყო ჩვენგან დაფინანსებულ ტელევიზიაში, მაგრამ ამ მზრუნველი და ქვეყნის მოამაგე ხალხისგან, არამც თუ ერთი სიტყვა, შორისდებულიც კი არ გაგვიგია.

რაც შეეხება არხის დამოუკიდებლობას, დავსვამ ელემენტარულ შეკითხვას: — როგორი იქნება შეზღუდვის მექანიზმი?

ჯერ მაღლაფერიძეს დაიბარებენ იქ, ზევით და გაწერილ გეგმას მისცემენ და მერე დირექტორი ამ გეგმას მათრახის გამოყენებით გააცნობს თანამშრომლებს?

ასევე საინტერესოა, თუ რა უნდა შეზღუდოს ახალმა დირექტორმა? რა ხდებოდა წლების განმავლობაში ისეთი, რომ ხელისუფლებას შიშები გაუჩინა?

თუ ხელისუფლებას მონა საზოგადოებრივი მაუწყებელი სჭირდებოდა, იმაზე უკეთეს ბორდს და იმ სიტუაციას, რაც ჯერჯერობით არის, ვერც ინატრებდა.

და ბოლო შეკითხვა: — ტელევიზია რომ „დამოუკიდებელი“ იყოს, მაინცადამაინც ნიკა გვარამია უნდა ჰყავდეს დირექტორად, თუ ნაცმოძრაობიდან კონტროლირებადი და აგრესიულად ფსევდოლიბერალური აზროვნების ტიპისთვის უნდა მიგვეცა 40 მილიონი?

მოკლედ რომ ვთქვა, საზმაუს გადარჩენის შანსი გაჩნდა და იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

* * *

მთელი საქართველო შეძრა ვინმე დავით ჯიბლაძის მიერ გადაღებულმა „საახალწლო“ კლიპმა, რომელმაც საზოგადოებაში ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია.

კლიპის შინაარსს არ მოვყვები. უბრალოდ ვიტყვი, რომ იგი საშინელებათა ფილმების წესების სრული დაცვით არის გაკეთებული.

„შავი იუმორის სტილში გადავწყვიტეთ, რომ თოვლის პაპას ეყარა ჯავრი სანტაზე, რადგან მობეზრდა ამ სანტას შემოჭრა მის ტერიტორიაზე. გადაწყვიტა, რაღაც გაეკეთებინა. ეს არის ამ ვიდეოს მთელი სათქმელი — თითი დავუქნიოთ დასავლეთს, რომ „არ გვინდა შენი სანტა“, „არ გვინდა შენი დასავლური კულტურის შემოჭრა“, გვირჩევნია თოვლის ბაბუა“. ეს სრულიად პატრიოტული ვიდეო იყო, რომ თოვლის პაპა სჯობს სანტას“ — აცხადებს ავტორი.

მართალი გითხრათ, მსგავსი სისულელე დიდი ხანია, არ მომისმენია. ძალადობის, თავხედობის გამართლება რაღაც „შავი იუმორით“, რომელსაც ყველაზე ფრთხილი მოპყრობა უნდა, აზროვნების სიმწირის მაჩვენებელია. ცხადია აღშფოთებულ გამოხმაურებებთან ერთად, გამამართლებელი კომენტარებიც იყო, მაგრამ ყველაზე „საცოდავად“ ის კომენტარები ჩანდა, რომლებიც რეჟისორის კარგი ოჯახის შვილობაზე ახდენდნენ აპელირებას.

მინდა, ვთქვა, რომ როდესაც იღებ კლიპს, წერ ლექსს, აკეთებ განცხადებას, იგი უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი, რომელსაც ავტორის მხრიდან თავის მართლების რეჟიმში დამატებითი განმარტებები არ უნდა დასჭირდეს.

კლიპი, ლექსი, განცხადება არ არის დიდი მოცულობის ნაწარმოები, რომელშიც ავტორს აქვს შესაძლებლობა ფართოდ გაშალოს თავისი ფანტაზია და სხვადასხვა პასაჟებით მოგცეს დაფიქრებისა და აღქმის საშუალება.

კლიპი, ლექსი, განცხადება დ.ა.შ. შეიძლება იყოს საკამათო, კარგია თუ არა, მისაღებია თუ არა, მოსაწონია თუ არა მისი შინაარსი, გადმოცემის ფორმა დ.ა.შ. და არც ერთ შემთხვევაში თავის მართლება.

თუ თავს იმართლებ და ამბობ, რომ მე სხვა რაღაცის თქმა მინდოდა, ის აზრი ვერ გამოიტანეთ, რაც ჩავდეო, ამით კიდევ ორ სისულელეს ამბობ. პირველი არის ის, რომ საზოგადოებას აყენებ შეურაცხყოფას, დებილები ხართ და ვერ გამიგეთ, რისი თქმა მინდოდაო და მეორე: — იმდენად უხარისხო რაღაც გააკეთე, რომ ახსნა დაგჭირდა.

იხ. 4 გვ.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს - თორნიკე მუშკუდიანი

იმერეთის სამხარეო პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პოლიციის სამხარეო დეპარტამენტის დირექტორად თორნიკე მუშკუდიანი დაინიშნა. მუშკუდიანი ამ დრომდე შშს-ში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.მან იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის თანამდებობაზე ნუგზარ ქუთათელაძე შეცვალა, რომელსაც ეს პოსტი გასული წლის მაისიდან ნოემბრამდე ეკავა.

ავთო ბერიძეს ახალი თანამდებობა აქვს

აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე აჭარის მთავრობაში დაინიშნა. მან უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩაიბარა. ინფორმაციას ajaratv.ge ავრცელებს. ავთანდილ ბერიძის დანიშვნის ბრძანებას ხელი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ უკვე მოაწერა. ბერიძემდე აღნიშნულ თანამდებობას პარმენ ჯალაღონია იკავებდა, რომელმაც თანამდებობა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ დატოვა.

ეკა ბესელია „ეს შენ გეხებას“ პროექტზე

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ **„ასეთი მოდელი არა აქვს არც ერთ ქვეყანას. შვედეთის მოდელიც, რომელიც მითითებული აქვს არასამთავრობოებს, ცოტა განსხვავებულია. არ გვინდა, რომ ექსპერიმენტები ჩავატაროთ საკუთარ ქვეყანაში. გვინდა, რომ შევქმნათ კარგი სისტემა“.**

ვნებათაღელვა ნაცების დაშლის გამო...

„ნაცმოძრაობის“ კრიზისმა შესაძლოა, მმართველ ძალაზეც იმოქმედოს და ჩნდება ნიადაგი ახალი პოლიტიკური ძალის წარმოსაშობად...

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებსა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მათ გავლენაზე „აქცენტი“ ანალიტიკოს კორნელი კაკაჩიას ესაუბრა.

— თუ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელი მოვლენების დინამიკას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან გაუჭირდება დაშლის თავიდან აცილება. პროცესი დაწყებულია და, სავარაუდოდ, პარტიის გაყოფით დასრულდება, რაც, ბუნებრივია, მტკივნეული იქნება როგორც თავად პარტიისთვის, ისე ამომრჩევლებისთვის. გარდა ამისა, განურჩევლად იმისა, მოსწონს თუ არა ვინმეს „ნაციონალური მოძრაობა“, ეს პროცესი გარკვეულწილად ქვეყანასაც აყენებს პრობლემების წინაშე, ვინაიდან ჩვენ მმართველი პარტიის საპირწონედ არც ერთი სერიოზული ოპოზიციური ძალა არ გვრჩება: ლიბერალური ცენტრი, ფაქტობრივად, დაშლილია; ფორმალურად არსებობენ პარტიები, მაგრამ სადღეისოდ ისინი ამინდს ვერ ქმნიან, სხვა პარტიებიც კრიზისში არიან, „პატრიოტთა ალიანსის“ იმედზე კი დემოკრატიის ბედი ვერ იქნება, მით უფრო - იმ ფონზე, როდესაც მმართველ პოლიტიკურ ძალას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს.

— ვერ ვიტყვით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რაციონალური აზროვნების ნაკლებობას განიცდის. გარდა ამისა, ეს მდიდარი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ძალაა. როგორ ფიქრობთ, რატომ მივიდა პარტია ამ კონდიციამდე?

— ბუნებრივია, ამ პროცესებით **ენმ** აგებს, ვინაიდან გაყოფის შემდეგ უფრო სუსტი იქნება. ეს ყველამ იცის, თუმცა შესაძლოა, ბოლომდე გააზრებული არ ჰქონდეთ.

რაც შეეხება დაპირისპირების მიზეზებს, ერთ-ერთი პარტიის მომავლისა და განვითარების შესახებ განსხვავებული ხედვებია. კარგი იქნებოდა, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილი მოქცეულიყო, როგორც დასავლელი ლიდერები: როდესაც ისინი პოლიტიკურ კარიერას ასრულებენ, ხდებიან საპატიო თავმჯდომარეები, ეხმარებიან პარტიას, თუმცა რეალურად არ რჩებიან პოლიტიკაში. როგორც ჩანს, ეს მიდგომა ამ ეტაპზე სააკაშვილის მხრიდან არარეალურია. მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს პრეზიდენტი 10 წლის განმავლობაში იყო, კიდევ აქვს ამბიციები, რაც პრობლემური აღმოჩნდა არა მხოლოდ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, არამედ თავად პარტიისთვის. ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის შიდა პარტიული დემოკრატიის თვალსაზრისითაც. პარტიაში დემოკრატიული პროცესი იწყება მაშინ, როდესაც ლიდერთა შორის გარკვეული კონკურენციაა, როდესაც ერთი ლიდერი მიდის, მას მეორე ანაცვლებს და პარტიის მიერ დადებულ შედეგებზე ის იღებს პასუხისმგებლობას. თუ ვერ გაამართლა, ლიდერი იცვლება. ანუ, პარტია რჩება, თუმცა ლიდერები იცვლებიან. აღნიშნულის თაობაზე სააკაშვილის მხრიდან პრობლემა გვაქვს. რიგ შემთხვევებში რჩება შთაბეჭდილება, რომ ის საათის ისრების მიმართულების საწინააღმდეგოდ მუშაობს. ეს გასაკვირია, რადგან ითვლებოდა, რომ მას პროგრესული იდეები ჰქონდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა მენტალობის ლიდერებისგან ძალიან შორს არ არის. სააკაშვილის ამ ქცევას გარკვეული საფუძველიც აქვს და დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დებატების საგანიც ეს არის: სააკაშვილი ამბობს, რომ პარტიის მიერ მიღებული ხმები ძირითადად მისი დამსახურებაა. დათვლა რთულია, თუმცა ამაში სიმართლის გარკვეული მარცვლები არსებობს. სხვა თემაა, რომ თუ აზროვნებ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ამაზე აქცენტი არ უნდა გააკეთო. მეორე ჯგუფი ამბობს, რომ არ უნდა ბელადზე დამყარებული პარტია, უნდა ევროპული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, სადაც ლიდერები მიდიან და მოდიან, თუმცა იდეები რჩება და ყოფილი ლიდერები პარტიას უწევენ პოპულარიზებას.

— ასეა თუ ისე, ენმ ასოცირდებოდა მიხეილ სააკაშვილთან. ვინ წარმოგიდგენიათ მის საპირწონე ლიდერად?

— კარგი კითხვაა. მასზე პასუხი 20 იანვრისთვის დაგეგმილი ყრილობის შემდეგ უნდა ვეძიოთ, რადგან ჯერ არ ვიცით, ჯგუფები როგორ გადანაწილდებიან. თუმცა ყველა შემთხვევაში, როგორც აღვნიშნე, პარტია დასუსტდება. მიშას ფაქტორი გარკვეულწილად უზრუნველყოფდა მხარდამჭერთა ერთიანობას, განსაკუთრებით — რეგიონებში. ჯერ არ ვიცით, რომელ ჯგუფს დარჩება პარტია და რესურსები, ვთქვათ, იგივე „რუსთავი-2“; ორივე ჯგუფი თანაბრად ისარგებლებს თუ არა რესურსით. მნიშვნელოვანია პარტიის ფინანსებიც. ბევრი კითხვაა, რომელიც ჯერ ბოლომდე არ არის გააზრებული, რადგან მიზერული, მაგრამ თეორიული შანსი მაინც არსებობს იმისა, რომ ეს ვნებათაღელვა ჩაცხრეს.

„ევროპული საქართველო“ — „ყოფილი ნაციონალების“ ახალი სახელი

პირველი რადიოს“ ინფორმაციით, ახალ გაერთიანებას და ახალ ფრაქციას „ევროპული საქართველო“ ერქმევა.

— და რამდენად პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებაა ეს ყველაფერი ამომრჩევლის მიმართ?

— „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს ალბათ, არ მოსწონს ეს ყველაფერი, რადგან ვიცით, რომ მათი ნაწილი საკმაოდ პოლიტიზებულია და ჩართულია პროცესებში. მეორე ჯგუფს ჩრდილს აყენებს ის ფაქტი, რომ საარჩევნო სიიდან კანდიდატების ამოღება გადაწყვიტეს. მათ იჩქარეს და ამას თავად ამომრჩევლების მხრიდან შესაძლოა, ცუდი შედეგებიც მოჰყვეს. პარტია ჯერ გაყოფილიც არ არის. ალბათ, ამომრჩეველიც გაიყოფა იმის გათვალისწინებით, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნება პარტიაში მიმდინარე პროცესებზე. ყრილობამდე საუბარი რთულია, თუმცა ეს იქნება მტკივნეული გადაწყვეტილება როგორც პარტიისთვის, ისე ამომრჩევლისთვის. ეს ჩანს კიდეც სოციალურ მედიაში. ერთმანეთს უპირისპირდებიან ყოფილი მეგობრები, თანამებრძოლები. გარკვეულწილად ეს მინი-სამოქალაქო ომის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საბოლოოდ ჩნდება ნიადაგი ახალი პოლიტიკური ძალის წარმოსაშობად. ამის გარეშე შეუძლებელია. თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას რაღაც დადებითი შეიძლება, მოჰყვეს, ეს არის ალტერნატივის გაჩენის შესაძლებლობა, რომელიც გარკვეულწილად დააბალანსებს მმართველ გუნდს. არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენციით, ჩვენი ამომრჩეველი ძალაუფლებას დაახლოებით 8 წლით იძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს „ქართული ოცნებისთვის“ ბოლო პერიოდია. ამის შემდეგ საზოგადოებისგან იქნება მოთხოვნა, რეჟიმი შეიცვალოს, იმ დროისთვის კი უნდა არსებობდეს ძლიერი, მონოლითური ძალა, რომელიც მზად იქნება, ხელში აიღოს ძალაუფლება. გაჩენილი მოთხოვნა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს აიძულებთ, ითანამშრომლონ, მათ შორის — ისეთებს, რომელთა ერთად ყოფნა დღეს ვერ წარმოგვიდგენია.

სავლე ქამუშაძე

თვითმარქვია ბომონდებს მხოლოდ გაურყვნელი ახალგაზრდობა მოერევა!

(მესამე გვერდიდან)

და ბოლოს: იმის თქმა, რომ ვიღაცა ვიღაცის შვილია, ძმაა, დის შვილია, ბიძაშვილის შვილია დ.ა.შ. რბილად რომ ვთქვა, არ შეიძლება. არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ვინმეს ჩადენილი ცუდი საქციელი, პირველ რიგში, სწორედ იმ კარგ ადამიანს სცხებს ტალახს.

როგორც ამბობენ ჯეკ მფატრავი ინგლისის სამეფო გვარის წარმომადგენელი იყოო.

* * *

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მათი ამბავი გასაგებია. ახალი წლებია და ხალხისგან განსხვავებით, მათი სუფრა საკმაოდ „მრავალსართულიანია“. ასე ვთქვათ „დაკავებულნი“ არიან. თან კარგა გვარიანი სიცივეცაა. ჰოდა ამიტომ ბევრს არაფერს ვითხოვთ, მაგრამ თუ სერიოზულად შევხედავთ, დღეს საქართველოში ერთადერთი არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალა, რომელიც ახერხებს მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყოს, როგორც კრეატიული, ასევე გარკვეულწილად საკმაოდ საინტერესო აქციებით, არის გირჩი.

დანარჩენების ფონზე ისინი მუშაობენ და მხოლოდ არჩევნების წინა კვირაში არ გვევლინებიან უკვე მრავალჯერ ყელში ამოსული და სასაცილომდე დასული განცხადებებით:

საარჩევნო კანონი არ ვარგა! და არჩევნები გაყალბდება!

მარიხუანის შესახებ მე უკვე დავაფიქსირე ჩემი უარყოფითი პოზიცია. ამ ახალ აქციასთან მიმართებაში, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგს ეხება, ვიტყვი, რომ საკმაოდ საინტერესოა.

არ დამიწყოთ ახლა ისინი ყოფილი ნაცები არიან, ჯაფარიძე წამლების რეკლამასავით ჩქარა ლაპარაკობს და სხვა მსგავსი რაღაცები. ეს აბზაცი კიდევ ერთხელ წაიკითხეთ და მე კი ნუ გამაკრიტიკებთ, ახალ მემარჯვენეებს, ბურჯანაძეს, ფორუმს დ.ა.შ. ჰკითხეთ საახალწლო პახმელიიდან როდის გამოვლენ?

თემები უამრავია, დაწყებული ისევ და ისევ საბანკო სექტორიდან, დამთავრებული საარჩევნო სისტემით.

ხომ ხედავთ, აღარ არის საჭირო 300 000-იანი და ფოთოლჩამოუვარდნელი აქციები. რაც შეეხება ფინანსებს — ბიუჯეტიდან საკმარის თანხას ღებულობენ, მხართეძოზე რომ არ იყვნენ წამოწოლილნი.

* * *

და ბოლოს, რაღა თქმა უნდა, „ძალად სვეტების“ თემა, რომელიც ნიკა გვარამიასთვის თავში წამორტყმამ წამოწია.

რატი გაჩეჩილაძე, რომელმაც ყოფილ გენერალურ პროკურორს თავისი ოჯახის შეურაცხყოფა არ აპატია და მსუბუქად წამოარტყა, 5000-ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ დარჩა ე.წ. ძალად სვეტების პრობლემა, რომელიც ყოველთვის იყო.

მინდა, მოვიყვანო ჟურნალისტ გიორგი უძილაურის კომენტარი, რომელიც აბსოლუტურად სწორად აფასებს სიტუაციას.

„დააკვირდით — უახლეს ისტორიაში ეს თვითმარქვია თფილისური ბომონდები და ელიტები მუდამ სამარცვინო როლს თამაშობდნენ ქვეყნის ისტორიაში. კომუნისტების პერიოდის ზეობისას ეს ბომონდები ელიტურ ბარიგობაში იყვნენ ჩართული, რყვნიდნენ განათლებას და წველიდნენ ბიუჯეტს, დამოუკიდებლობის პერიოდში გარყვნეს პოლიტიკა და გააცამტვერეს ბიუჯეტი, ვაზელინით გამოიყენეს ყველა მმართველი ძალა და იმ ძალების დასუსტებისთანავე, სხვებთან გარბოდნენ. ამ ელიტებმა დაამკვიდრეს საქართველოში პოლიტიკური პროსტიტუცია და გააპრავეს ღალატი, შექმნეს ხალხის სეგრეგაცია სოფლელებად და თფილისელებად, ელიტად და ბნელებად, სწორად მოაზროვნეებად და ქაჯებად... ამ თვითმარქვია ბომონდებს შეიძლება მოერიოს მხოლოდ ახალი თაობა, გაურყვნელი სტერეოტიპებით და მებრძოლი ყველას თანასწორობისთვის. სხვა შემთხვევაში ეს სალონური ფაშიზმი კიდევ ერთხელ დაასახიჩრებს საზოგადოებას და წაიყვანს მას ურთიერთქიშპისა და პროგრესირებადი ატომიზაციისკენ. ნაცები ამ მსოფლმედველობრივ მეძავებთან შედარებით ანგელოზები არიან“.

არ შემიძლია, არ დავეთანხმო, მაგრამ მინდა დავამატო, რომ ე.წ. „ბომონდების“ წარმომადგენელთა უმრავლესობა, დღეს ხელოვნურადაა შექმნილი და ზოგი ამ წრეში მოხვედრას coming out (ქამინგ აუტი — გამოსვლა, გამჟღავნება) ცდილობს, ზოგი უნიტაზზე ლექსების წერით და ზოგი კიდევ ათასგვარი ხრიკით, მაგრამ მანდაც „გადარჩევის“ საკმაოდ სერიოზული პროცესი მიმდინარეობს. მხოლოდ „ფსევდო ევროპელობის“ მორგება საკმარისი არ არის. აუცილებელია „რუსთავი-2“-ის ეთერში მოხვედრა და „ნანუკას, ან „მაიკოს“ შოუები ამისთვის ასე ვთქვათ „კარანტინის“, ან „განსაწმენდელის“ ფუნქციებს ასრულებენ.

რამდენად საწყენიც არ უნდა იყოს, ამ ე.წ. „ელიტების“ შექმნაში, საზოგადოებას ლომის წილი მიუძღვის. არ არსებობს ჯანსაღი კრიტიკა და რაც მთავარია, საზოგადოებაში მეტასტაზივით გავრცელებულია „ცნობადი სახის“ გაფეტიშების მონური სურვილი.

დამერწმუნეთ, რომ სანამ ყველას და ყველაფერს საკუთარ სახელს არ დავარქმევთ, მანამდე იქნება ეს საშინელი სერეგაცია და მანამდე იბლატავებენ ეს „ძალად სვეტები“.

საინტერესო დროში გეცხოვროსო — თავისებურად გვაფხიზლებენ ჩინელები.

სამწუხაროდ, ეს დრო საქართველოში დიდი ხანია, დგას და 2017 წელს უფრო აქტიურად ამოქმედდა.

გია გაბრიჭიძე

50 წლის წინათ ჰომეროსის ენაზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსანი“ ახლა გამოიცა!



ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ დასაწყისში საქართველოში, ქალაქ სოხუმში, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბერძენი წარმომავლობის უჭკვიანესი ადამიანი, ბატონი ემანუილ მიტაფიდისი. იგი არაჩვეულებრივად ფლობდა რამოდენიმე ენას (ახალ ბერძნულს, ძველ ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს, რუსულს), ასევე ზედმიწევნით კარგად იცოდა ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა და პროფესიონალურად ხატავდა. რუსულ ენაზე თარგმნა ანტიკური ხანის ბერძენი კლასიკოსებისა და ფილოსოფოსების ნაწარმოებები, იმავდროულად, ბერძნულად თარგმნიდა რუს კლასიკოსებს... სამწუხაროდ, მისი ნაშრომების უმრავლესობა, თითქმის მთელი არქივი დაიკარგა 1992 წლის სოხუმის ომის დროს. მაგრამ, საბედნიეროდ, რაღაც მაინც გადარჩა და ბაბუის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩვენამდე მოიტანა მისმა შვილიშვილმა გრიგორი კირიაკომ. მან უზარმაზარი შრომა ჩადო ამ წიგნის გადასარჩენად.

ამა წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ბერძნულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაცია გაიმართა.

„ვეფხისტყაოსანი“ ნახევარი საუკუნის წინათ ბერძნულ ენაზე თარგმნა ემანუილ მიტაფიდისმა. ეს პოემის ამ ენაზე ამეტყველების პირველი ცდაა. ტექსტის ხელნაწერი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, ხოლო წიგნი მთარგმნელის შთამომავალმა გრიგოლის კირიაკოსმა წელს გამოსცა ათენში. გამომცემლის დაკვეთით საბერძნეთშივე ბერძენმა მხატვარ-ხატმწერმა დახატა ილუსტრაციებიც. წიგნის პრეზენტაციას გამომცემელიც დაესწრო,რომელიც საბერძნეთიდან სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოვიდა.

ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲐᲙᲝᲡᲛᲐ დაწვრილებით მომითხრო, თუ რატომ შეყოვნდა 50 წლით პოემის გამოცემა.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ, გვიამბეთ თქვენ წინაპრებზე, საქართველოში მათი ცხოვრების წლებზე.

— ჩემი ბებიები და ბაბუები ორივე მხრიდან ბერძნები იყვნენ. „ევქსინის პონდში“ ცხოვრობდნენ (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია, შავი ზღვისპირეთის სანაპიროზე),იმ დროს იქ ყველა ქალაქი ბერძნული იყო... ბაბუა (დედის მამა) ემანუილ მიტაფიდისი კონსტანტინეპოლის მახლობლად ქალაქ არდაკიდან გახლდათ, შეძლებულ ოჯახში დაიბადა. ისინი მრავალი საწარმოსა და სავაჭრო ობიექტების მფლობელები იყვნენ. აწარმოებდნენ აბრეშუმსა და ღვინოს. გარდა ამისა, ფლობდნენ მრავალ მაღაზიას. ემანუილის მამა იმ ქალაქის მერი გახლდათ, სადაც ცხოვრობდნენ.

ბაბუამ წარმატებით დაამთავრა კონსტანტინეპოლის „ზოგრაფიო ლიკიო“, რომელიც იმ დროისთვის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლებოდა (ზოგრაფოსი, თავის მხრივ, შეძლებული ბერძენი გახლდათ, სწავლული, განათლებული ადამიანი, დიდი მეცენატი).

მოგეხსენებათ, 2018-2019 წლებში დაიწყო ბერძნების განდევნა ამ ტერიტორიებიდან, ამიტომ მამამ ემანუილი თავის ძმებთან (რომლებიც ოდესაში ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და ოდესის ელიტურ საზოგადოებას მიეკუთვნებოდნენ) ოდესაში გაამგზავრა. ბაბუას ძმები ძალიან მდიდრები იყვნენ. დღემდეა შემორჩენილი მათი ულამაზესი სახლები ოდესის ცენტრში. ბაბუამ ამ დროისათვის კარგად იცოდა ძველი ბერძნული, ლათინური, ფრანგული ენები. ოდესაში ემანუილი საკმაოდ სწრაფად დაეუფლა რუსულ ენასაც. როდესაც თურქეთში ბერძნების დევნა დროებით შეწყდა, ემანუელი ისევ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, დაიწყო ფილოლოგად მუშაობა და დიდი შემართებით შეუდგა რუსი კლასიკოსების ბერძნულ ენაზე თარგმნას, თანამშრომლობდა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებთან. 1920-1921 წლებში თურქებმა კვლავ დაიწყეს ბერძნებზე თავდასხმები, ამიტომ ემანუილი მშობლებმა ისევ ოდესაში გაამგზავრეს. იქ მან მუშაობა დაიწყო ბერძნული ანტიკური ლიტერატურის რუსულად თარგმანზე.

ერთხელაც ახლობლები ოდესიდან ნათლობაზე გაემგზავრნენ სოხუმში, სადაც ემანუილიც იყო დაპატიჟებული. მან წვეულებაზე თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო. ისინი მალევე დაქორწინდნენ და სოხუმში საცხოვრებლად დარჩნენ.

იმ დროს სოხუმში ბევრი ბერძენი ცხოვრობდა, ამიტომ ბერძნულენოვანი სკოლებიც გაიხსნა, ერთ-ერთ სკოლაში ბაბუა პედაგოგად მიიწვიეს, ბერძნული ენის გარდა, ასწავლიდა ისტორიას, ფიზიკა-მატემატიკას. მალევე ამ სკოლის დირექტორად დანიშნეს. პარალელურად მუშაობდა თარგმანებზე, თარგმნიდა, როგორც რუს კლასიკოსებს ბერძნულად, აგრეთვე ბერძნულ ლიტერატურას რუსულ ენაზე. ბაბუა მთელი ცხოვრება გატაცებული იყო მუსიკით, ლიტერატურით, პოეზიით, დაინტერესებული იყო სხვადასხვა ხალხის კულტურით...

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ბერძნული ელიტის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

ბაბუამ ძალიან რთული გზა გაიარა, რადგან რთულ პერიოდში მოუწია ცხოვრებამ. როგორც ცნობილა, 1937-38 წლების რეპრესიების დროს სოხუმში დაიკეტა ბერძნული სკოლები, ბერძნების უმეტესობა კი გადაასახლეს. ბაბუა გადაიყვანეს ბუღალტრად ახლო მდებარე სოფელში. ერთ საინტერესო ფაქტს მოგითხრობთ. ამ დროს იმ სოფლის მიდამოებში რუსი არქეოლოგები აწარმოებდნენ გათხრებს. ანტიკური დროის უნიკალური ძველი ბერძნული ნივთები აღმოაჩინეს. რადგან ბაბუამ ძველი ბერძნული იცოდა, იგი მიიწვიეს აღმოჩენილ ნივთებზე არსებული წარწერების წამკითხველად და გამშიფვრელად.

შემდეგ სოხუმში დაბრუნდნენ. 1941 წელს გერმანელებმა სოხუმიც დაბომბეს. დაბომბვის დროს დაეღუპა 15 წლის ქალიშვილი (დეიდაჩემი).

ომის დამთავრების შემდეგ 1949 წელს ბერძნების მასობრივად გადაასახლეს სოხუმიდან, ბაბუას ოჯახს ეს არ შეხებია, რადგან მათ საბჭოთა პასპორტები და, შესაბამისად, მოქალაქეობაც ჰქონდათ, მაგრამ გადაასახლეს უფროსი ქალიშვილი მეუღლესთან ერთად შუა აზიაში, ყაზახეთის სტეპებში. ქალიშვილი მარტო არ გაუშვეს მშობლებმა, თან გაყვნენ. შემდეგ ბაბუა უზბეკეთში, ტაშკენტში გადაიყვანეს სამუშაოდ ბერძენ პოლიტემიგრანტებთან.

სოხუმში 1957 წელს დაბრუნდნენ, მაგრამ იქ აღარაფერი დახვდათ! ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ. და ეს ყველაფერი 60 წლის ასაკში! მას ინსულტი დაემართა და მარჯვენა ხელს კარგად ვეღარ იმორჩილებდა.

— როგორ მოხდა, რომ თქვენი წინაპარი ამ ნაწარმოებით დაინტერესდა? საოცრად ძნელია ასეთი ნაწარმოების გაგება, მითუმეტეს თარგმნა, ეს ხომ არაადამიანურ შრომასთანაა დაკავშირებული, რომელიც სათანადოდ არ ფასდება. ამასთან დაკავშირებით ბაბუასთან ხომ არ გისაუბრიათ?

— ბაბუას ძალიან უყვარდა ლიტერატურა. ის კვლავ აგრძელებდა მუშაობას თარგმანებზე.

1966 წელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბაბუას სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა გვასალიამ სთხოვა ეთარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ 200 სტროფი.

იმ პერიოდში სოხუმში შეიქმნა შოთა რუსთაველის რეგიონული საზოგადოება, რომელმაც ითავა იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სხვადასხვა ენებზე წაეკითხათ ნაწყვეტები პოემიდან.

ბაბუას თარგმანი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა გვასალიამ თბილისის უნივერსიტეტში გადააგზავნა პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილთან, რომელიც უძლიერესი ბიზანტინოლოგი, ელინისტი და ძველი ბერძნულის სპეციალისტი იყო. ყაუხჩიშვილს ძალიან მოეწონა თარგმანი, მაღალი შეაფასება მისცა და შესთავაზა ბაბუას, ემანუილ მიტაფიდისს ეთარგმნა მთლიანი პოემა.

ბაბუამ ეს თხოვნა შეასრულა. რადგან მან ზედმიწევნით კარგად იცოდა როგორც ძველი, ასევე ახალი ბერძნული და ყველა დიალექტი. ამიტომ როდესაც დამჭირდა პოემის რედაქტირება, ძალიან გამიჭირდა კარგი ფილოლოგის პოვნა.

— ვინ ურედაქტორა წიგნს?

— ძალიან დიდი დრო დამჭირდა, რათა მიმეკვლია ადამიანისათვის, რომელიც შეძლებდა ამხელა შრომის გაწევას. დიდი ძალისხმევის შედეგად ვიპოვე ქალბატონი **თალია კაფენდი**, რომელიც მართლა უდიდესი გულისყურით მოეკიდა ამ საქმეს, მას არამარტო უნდა შეესწორებინა გრამატიკული შეცდომები და სასვენი ნიშნები, არამედ კარგად უნდა გაეგო და გადმოეცა ნაწარმოების აზრი. მე კი ვადარებდი რუსულ და სხვა თარგმანებს. მერე ერთად ვასწორებდით. წელიწად-ნახევარი უწყვეტი, თავდაუზოგავი შრომა დასჭირდა, რომ წიგნი დასაბეჭდად მოგვემზადებინა.

— როგორ შეიტყვეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბაბუათქვენისეული თარგმანის არსებობის შესახებ?

— ბაბუას ამ ნაშრომისთვის ჰონორარი არ მიუღია, მხოლოდ ჰპირდებოდნენ...

მაშინ ჩვენთან არ არსებობდა ბერძნულენოვანი საბეჭდი მანქანა, ამიტომ საბერძნეთში გაიგზავნა და მხოლოდ ორად-ორი წიგნი გამოვიდა, ერთი დარჩა ეროვნულ ბიბლიოთეკას (რის შესახებაც არ ვიცოდი), მეორე კი, ჩვენ გვქონდა სოხუმში.

1990 წელს საცხოვრებლად საბერძნეთში გადავედი, ათენში 1992 წელს დედა მესტუმრა. დაემთხვა სოხუმის ომი და დედაც აღარ დაბრუნებულა უკან. სამწუხაროდ, ყველა სხვა ნივთთან ერთად ბაბუას მთელი არქივი დაიკარგა...

წლების განმავლობაში არ ვიცოდი, სად იყო ეს წიგნი. ჩვენდა საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ჩემმა ბიძაშვილმა ლენინგრადში წაიღო, სადაც ომის შემდეგ სოხუმიდან გადასახლდა. როგორც კი შევიტყვე წიგნის არსებობის შესახებ, სასწრაფოდ გადავფრინდი და წამოვიღე. ესეთია მოკლედ ამ წიგნის ისტორია...

* * *

2016 ᲬᲚᲘᲡ 21 დეკემბერს, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ათენის იონიური კულტურის ცენტრში გაიმართა შოთა რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო 850 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ელჩის იოსებ ნანობაშვილის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, მოხსენებები წაიკითხეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ ვაჩეიშვილმა, ფილოლოგიისა და ეთნოლოგიის მაგისტრმა ანი უძილაურმა, ბიზანტინისტმა, ათენის ქართული ინსტიტუტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ავთანდილ მიქაბერიძემ, ვეფსტერის უნივერსიტეტის ვიცეკანცლერმა, პროფესორმა სუზი მიხაილიდისმა. 1974 წელს ქ. სოხუმის ბერძნული საჯარო სკოლის დირექტორის ემანუილ მიტაფიდისის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ ენაზე პირველი თარგმანი (გამოიცა ქ. ათენში 2016 წელს) წარმოადგინა მთარგმნელის შვილიშვილმა გრიგორის კირიაკოსმა. ცნობილმა ბერძენმა მწერალმა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა დიმიტრის ნოლასმა ისაუბრა მისი რედაქტორობით 2001 წელს საბერძნეთში გამოცემულ „ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე“ და მასში შესული „ვეფხისტყაოსნის“ ამონარიდის მის მიერ თარგმანის შესახებ. საღამოზე სიტყვით გამოვიდა, ასევე, ბერძენი პოეტი და პროფესორი ლეონიკოს კალახორასი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, მუშაობს პოემის ახალ თარგმანზე. საბერძნეთში მოღვაწე წარმატებულმა ქართველმა მსახიობმა დავით მაღალდაძემ და ბერძენმა მსახიობმა დანაე კალახორამ ქართულ და ბერძნულ ენებზე წაიკითხეს პოემის ნაწყვეტები. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, ასევე, დაეთვალიერებინა ქართული ანბანის განვითარების სამივე საფეხურის ამსახველი ილუსტრაციები.

საღამოს დასასრულ სტუმრებისთვის გაიმართა მცირე მიღება ქართული ღვინის დაგემოვნებით. საელჩოს მიერ ორგანიზებული საღამო გააშუქა წამყვანმა ბერძნულმა ტელეკომპანიამ „ALPHA“.

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ
საბერძნეთიდან.
(ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ).

ღმერთი არ გაგვიწყრეთ,

არსებულ მდგომარეობაზე და

კრიზისიდან გამოსავალს რაში ვხედავთ? რაში და, რა თქმა უნდა, უპირველესად – ნატოში! არაფრის დიდებით არ უნდა შევეშვათ ნატოს და რაც შეიძლება მტკიცედ მოვითხოვოთ მასში გაწევრიანება; ჩვენი ერთგულების დასამტკიცებლად თავი უნდა გამოვიჩინოთ ამერიკის მიერ წამოწყებულ ომებში; რუსეთის ლანძღვის და უკრაინის მხარდაჭერის პარალელურად მოვითხოვოთ რუსეთის წინააღმდეგ ახალ-ახალი სანქციების დაწესება; მოვითხოვოთ ვიზალიბერალიზაციის კიდევ უფრო ლიბერალიზაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ქართველს ჰქონდეს ევროპაში დარჩენის საშუალება. ეს ხომ კრიზისიდან თავის დასაღწევი ერთ-ერთი საუკეთესო გზაა – რაც მეტი ქართველი დატოვებს საქართველოს, მით უფრო ნაკლები უმუშევარი იქნება საქართველოში, უცხოეთიდან მით უფრო მეტი ვალუტა შემოვა, ლარი გამყარდება, ცხოვრების დონე ამაღლდება და კრიზისიც სრულიად უმტკივნეულოდ დაიძლევა.

რაც თავი გვახსოვს „დამოუკიდებელ“ საქართველოში, ანუ ზუსტად 25 წელია, განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც შევარდნაძე ყელში ამოგვივიდა და ამერიკის გამოზრდილ-გაპიარებული ე.წ. ნაციონალი, სინამდვილეში კი, უეროვნებო მანქურთი ახალგაზრდები ძალიან ტექნიკურად, ანუ არჩევნების ყოველგვარი გაყალბების გარეშე აგვარჩევინეს, მრავალნაირი გაჭირვება და უკანონობა განვიცადეთ. ბევრი რამ გვაკლდა და დღესაც გვაკლია, მაგრამ არ დაგვკლებია დაუსრულებელი რეფორმები და „უანგარო“ მეგობრული რეკომენდაციები – ჩვენი ეკონომიკის მდგრადი(!) განვითარების მიზნით ამერიკიდან სპეციალურად მოვლენილი, ყველა სამინისტროსა და უწყებაში ჩანერგილი და ჩვენი ბიუჯეტიდან სარჩენი მრჩევლების მიერ მოწოდებული; არ გვაკლდა არც გრანტები და, განსაკუთრებით, არც მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ თავსმოხვეული დამაკაბალებელი კრედიტები, მაგრამ საგარეო ვალის 6-ჯერადი ზრდის მეტი მათ ჩვენთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია, ანუ **მრჩევლების სახელს ამოფარებული ე.წ. „ეკონომიკური მკვლელები“** თავიანთ მისიას ფრიადზე ასრულებდნენ და ასრულებენ დღესაც. ისინი **ზუსტად ისევე გვეხმარებიან ეკონომიკურ „წინსვლაში“, როგორც ამას აკეთებენ ყველა განვითარებად სახელმწიფოში – აფრიკაში იქნება ეს, აზიაში თუ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, როგორც ეს გააკეთეს გორბაჩოვ-ელცინის რუსეთში, როდესაც წარმოუდგენლად გააჩანაგ-გააპარტახეს იგი.**

ამერიკელ მრჩევლებზე და, საერთოდ, ამერიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე სრული წარმოდგენის მისაღებად სავსებით საკმარისია მხოლოდ ერთი წიგნის, ცნობილი ამერიკელი ავტორის (ერთ დროს, თავად ეკონომიკური მკვლელის) **ჯონ პერკინსის** მიერ დაწერილი აღსარების – „ეკონომიკური მკვლელის აღსარების“ წაკითხვა. ცხადია, ეს აღსარება უპირველესად ჩვენი ეკონომისტ-ფინანსისტებისთვის იქნებოდა სასარგებლო, მაგრამ **ქართული ოცნების ოთხწლიანმა მმართველობამ (აღარაფერს ვამბობ ნაცების 9-წლიან პარპაშზე) დამარწმუნა, რომ ამერიკის მითითებებით დაკომპლექტებულ მთავრობა-პარლამენტში არცერთ მინისტრს და დეპუტატს არ გააჩნია სიმართლის თქმის ვაჟკაცობა,** საქართველოს ინტერესების დასაცავად ვერავინ ბედავს ხმის ამოღებასაც კი, არათუ რაიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას! რუსეთის ლანძღვა-გინებაში, იცოცხლეთ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ამერიკის მისამართით კი ერთი მართალი სიტყვაც ვერ უთქვამს ვერავის. ასე რომ, **უწიგნურობაზე მეტად ის მთავარი შინაგანი ძალა, ის ეროვნული სული გვაკლია, რასაც სამშობლო მიწის და საკუთარი ერის სიყვარული ჰქვია, რაც ასე უხვად ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და, რაც ასე დაგვეშრიტა 21-ე საუკუნის ქართველებს.**

განა შეიძლება 300-მილიონიან უმდიდრეს სახელმწიფოს 3-მილიონიანი სტრატეგიული პარტნიორის ფეხზე დაყენება სურდეს და 13-წლიანი (სულ ცოტა) ინტენსიური დახმარების (ფინანსებით, სპეციალისტებით) ფონზე ამას არა თუ ვერ მიაღწიოს, არამედ, პირიქით, სოციალური მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდებოდეს, ოჯახის გამოსაკვებად ადამიანები სხვა ქვეყნებში გარბოდნენ, სახელმწიფო კი ახალ-ახალ სესხებს იღებდეს საგარეო ვალის პროცენტების (მხოლოდ პროცენტების!) დასაფარად. ასეთი რამ წარმოუდგენელია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, როცა გულით „გეხმარებიან“, თურმე, სავსებით შესაძლებელი ყოფილა. **როგორ ჰგავს ამერიკის ეს „დახმარება“ იმავე ამერიკის და კიდევ 66 სახელმწიფოს მრავალწლიან „ბრძოლას“ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც ტერორისტული სახელმწიფოს დამარცხების ნაცვლად (თურმე, ვერ მოერივნენ!), პირიქით, მისი არნახულად გაფართოება-გაძლიერება და ტერორისტული აქტების გახშირება მოჰყვა.** ძალიან მიამიტი და არაინფორმირებული ადამიანი თუ დაიჯერებს იმას, რომ დასავლეთი, რომელიც თვალს ხუჭავს უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეების (ქალების, ბავშვების და მოხუცების ჩათვლით) უსასტიკეს დასჯაზე, ისტორიული ძეგლების ნგრევა-აფეთქებებზე, უმდიდრესი მუზეუმების ძარცვაზე, რომელსაც სირიის ხელისუფლების დამხობა და იმ რეგიონში (ერაყ-ავღანეთ-ლიბია-პალესტინაში და უკრაინა-კავკასიაშიც) მუდმივი ცხელი კერების გაღვივება აქვს დასახული მიზნად, მართლა იბრძოლებს მის მიერვე დაფინანსებულ-შეიარაღებული ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი მთავრობის უცოდინარი თუ მცოდნე, მაგრამ სინდისგაყიდული მინისტრები ამერიკელ მრჩევლებში ეკონომიკურ მკვლელებს ვერ ან არ ხედავენ. მათ ჰგონიათ, რომ ამერიკა მხოლოდ სხვაგან, სხვა განვითარებად ქვეყნებში იყენებს ამ მკვლელებს, ჩვენთან კი, როგორც „სტრატეგიულ პარტნიორთან“, ამას არ კადრულობს და ჭეშმარიტ დამხმარეებს გვიგზავნის!

და მაინც, რა მისია აკისრიათ ეკონომიკურ მკვლელებს? სწორედ ამის განმარტებით იწყებს თავის წიგნს **ჯონ პერკინსი:**

„ეკონომიკური მკვლელები – ესენი არიან მაღალანაზღაურებადი პროფესიონალები, რომლებიც ახერხებენ, დასტყუონ ტრილიონობით დოლარი სხვადასხვა სახელმწიფოს მთელ მსოფლიოში. ისინი იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა ფინანსური აღრიცხვიანობის ფალსიფიცირება, არჩევნების გაყალბება, ქრთამი, გამოძალვა, სექსი და მკვლელობები. ისინი ძველთაგან ცნობილ თამაშს თამაშობენ, რაც ამჟამად, გლობალიზაციის დროში მეტად საშიშ მასშტაბებს იღებს. მე ვიცი, რაზედაც ვლაპარაკობ. მე თავად ვიყავი ეკონომიკური მკვლელი. ეს სიტყვები მე 1982 წელს დავწერე“.

2008-ში, უკვე კარგად გამოფხიზლებულ, პოლიტიკურადაც ასე თუ ისე თვალახელილ ხალხს მოგებული არჩევნები თვალსა და ხელსშუა მოგვპარეს, როცა დედაქალაქში და წამყვან ქართულ ქალაქებში ოპოზიციური ძალების გამარჯვების გადაფარვის მიზნით წარმოუდგენლად გააყალბეს არჩევნები აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში, როცა ხმების დათვლა დაწყებულიც არ იყო და ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა (უმცროსმა) წინასწარ მიულოცა გამარჯვება საკაკაშვილს (არადა, მასიური გაყალბებების ფონზეც კი მხოლოდ 2 %-ით გადალახა 50 %-იანი ზღვარი ამერიკის რჩეულმა „ძაღლისშვილმა“!).

ისტორია მეორდება და 2012 წელს საკაკაშვილზე დაბოღმილებს ქველმოქმედი და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე ივანიშვილი აგვარჩევინეს, რომელსაც ე.წ. „პარავოზის“ როლი შეასრულებინეს არჩევნებში. დასავლური სცენარის მიხედვით მას პარლამენტში აუცილებლად უნდა გაეყვანა ურეიტინგო რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები და პოლიტიკური ასპარეზიც, სულ რაღაც ერთ წელიწადში, მათთვის დაეთმო.

...და ასე იქნება ყოველთვის – მორიგეობით, ხან გაგვაბითურებენ პროპაგანდით და ჩვენი ნებით აგვარჩევინებენ ამერიკის შერჩეულ კანდიდატს და მის გუნდს, როგორც ეს იყო 2004-ში, როცა სააკაშვილი ავირჩიეთ სიხარულით, და 2012-ში, როცა ივანიშვილს დაუჭირა მხარი ნაცების გარდა ყველა ადამიანმა; ხანაც – ყველანაირი ტყუილ-მართლით თავს მოგვახვევენ იმავე, ოღონდ უკვე გაშიფრულ და წყალშემდგარ პარტიებს, როგორც ეს იყო 2008-ში და 2016-ში.

ყველაფერი ეს კარგადაა ცნობილი, მაგრამ გამოსავალს, კრიზისიდან გამოსავალს რაში ვხედავთ? რაში და, რა თქმა უნდა, უპირველესად – ნატოში! არაფრის დიდებით არ უნდა შევეშვათ ნატოს და რაც შეიძლება მტკიცედ მოვითხოვოთ მასში გაწევრიანება; ჩვენი ერთგულების დასამტკიცებლად თავი უნდა გამოვიჩინოთ ამერიკის მიერ წამოწყებულ ომებში; რუსეთის ლანძღვის და უკრაინის მხარდაჭერის პარალელურად მოვითხოვოთ რუსეთის წინააღმდეგ ახალ-ახალი სანქციების დაწესება; მოვითხოვოთ ვიზალიბერალიზაციის კიდევ უფრო ლიბერალიზაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ქართველს ჰქონდეს ევროპაში დარჩენის საშუალება. ეს ხომ კრიზისიდან თავის დასაღწევი ერთ-ერთი საუკეთესო გზაა – რაც მეტი ქართველი დატოვებს საქართველოს, მით უფრო ნაკლები უმუშევარი იქნება საქართველოში, უცხოეთიდან მით უფრო მეტი ვალუტა შემოვა, ლარი გამყარდება, ცხოვრების დონე ამაღლდება და კრიზისიც სრულიად უმტკივნეულოდ დაიძლევა.

გგონიათ, რომ ვხუმრობ ან ვაზვიადებ? როგორ გეკადრებათ, მე კი არა, მთელი მთავრობაა ამის იმედზე. აბა, ერთი წუთით შეეცადეთ, წარმოიდგინოთ პირიქით რომ მოხდეს და ერთ მშვენიერ დღეს უცხოეთში გადახვეწილი ორი მილიონი ქართველი უკანვე დაბრუნდეს და მათ მიერ გამოგზავნილ-შემოტანილი ყოველწლიური დახმარებაც (დაახლოებით, ორი მილიარდი დოლარის ოდენობის) შეწყდეს – ცალკე ხალხი რა დღეში ჩავარდება და, ცალკე – ბიუჯეტი, ლარზე აღარ ვლაპარაკობ. ჰოდა, ამდენს კი ხვდება ჩვენი მთავრობა – რახან ქართველების დაბრუნებას უსათუოდ კატასტროფული შედეგები მოყვება, მაშასადამე, ქართველების გადინება დადებითად უნდა აისახოს ცხოვრების დონეზე, ეს ხომ ცხადზე უცხადესია. და ამ პროცესს ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი. სრული იდილია კი, ქოცნაცების აზრით მაშინ დამკვიდრდება ჩვენთან, როდესაც ემიგრაცია ოპტიმალურ სიდიდეს მიაღწევს, ანუ როდესაც იმდენი ქართველი იცხოვრებს უცხოეთში, რომ მათი გადმორიცხული ფულით საქართველოში დარჩენილები (ანუ, ძირითადად, საპენსიო ასაკისანი) სრულად იქნებიან უზრუნველყოფილნი. ხელისუფლებას ყველანაირი დასაქმების პრობლემა მოეხსნება და „ხალხზე ფიქრით გულდამძიმებული“, ისიც შვებით ამოისუნთქავს, სადარდებელი აღარაფერი ექნება, ბიუჯეტსაც თავის გემოზე დახარჯავს და გამოთავისუფლებული მიწების ინდოელებზე, არაბებზე, ჩინელებზე და სხვა ჯურის ხალხზე გაყიდვით, კარგ მოგებასაც ნახავს. ეკონომიკური პრობლემების ასე უმტკივნეულოდ გადაწყვეტისთვის და საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების თავიდან აცილებისთვის ნობელის პრემიის კომიტეტი, ალბათ, ერთდროულად ორ პრემიას მიანიჭებს საქართველოს ნიჭიერ ხელისუფლებას – მშვიდობის და ეკონომიკის დარგში.

აჰ, თქვენ გინდათ, რომ საქართველოს ხელისუფლება კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზას დაადგეს? იქნებ, ისლანდიას გსურთ, რომ მივბაძოთ! ისლანდიელებზე 10-ჯერ მეტნი კი ვართ, მაგრამ, ბანკირებს რომ მიხედო და სავალუტო ფონდის კრიზისის „დასაძლევი“ რეკომენდაციებიც არ შეასრულო, ისლანდიელებივით ამის ერთი ადგილი უნდა გქონდეს. სამწუხაროდ, მოთხოვნილების მიუხედავად, იგი ერთობ დეფიციტური გახდა ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, **აგერ უკვე 25 წელია, ამ ადგილის მქონე ლიდერი ხელისუფლებაში არ გამოჩენილა, და ღმერთმა უწყის, როდის გამოჩნდება. არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში და გარედან მოვლენილი ზედამხედველების (ძირითადად, ამერიკის საელჩოს და ე.წ. ასო-ების სახით) კონტროლის ქვეშ, ეჭვი მეპარება ასეთმა კაცმა ხელისუფლებაში შეაღწიოს ოდესმე!**

წლების წინ დაწყებული ჩვენი ლარის აუხსნელი ზიგზაგები ბანკების, უპირველესად, ეროვნული ბანკის გამიზნული სვლებით რომ იყო განპირობებული და არა ეკონომიკაში წარმოქმნილი რყევებით, ამას დილეტანტიც ხვდებოდა, მაგრამ ეროვნული ბანკის მმართველს ბუზიც ვერ აუფრინეს. ყველას გვახსოვს **ივანიშვილის** ახსნა-განმარტება: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მთხოვა ქადაგიძეს ხელი არ ახლოო! კარგა ხანია, აღარ არის ქადაგიძე, მაგრამ ლართან დაკავშირებული პრობლემები არ მოხსნილა (რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ ქადაგიძეში არ ყოფილა საქმე) და როგორც საბანკო საქმის ექსპერტი, **ქ-ნი ლია ელიავა** აცხადებს, არც მოიხსნება: **„სანამ ეროვნულ ბანკში სავალუტო ფონდის მიერ გამოზრდილი ვირთხები დარბიან, ლარს არაფერი ეშველება“!**

2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი ეკონომიკურად არნახულად აყვავებულ ისლანდიასაც სრულიად მოულოდნელად დაატყდა თავს. სწრაფად გონს მოსულმა ისლანდიელებმა მაშინვე მოტვინეს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგათ: დაითხოვეს თავიანთი მარიონეტული მთავრობა და მოახდინეს ბანკების (მთავარი ბანკის ჩათვლით) ნაციონალიზაცია, დააპატიმრეს

კარგი გამგონი უნდა!

საშოგლო არ გაყიდოთ!

გადასადგმელ პირველ ნაბიჯებზე

წლების წინ დაწყებული ჩვენი ლარის აუხსნელი ზიგზაგები ბანკების, უპირველესად, ეროვნული ბანკის გამიზნული სვლებით რომ იყო განპირობებული და არა ეკონომიკაში წარმოქმნილი რყევებით, ამას დილეტანტიც ხვდებოდა, მაგრამ ეროვნული ბანკის მმართველს ბუზიც ვერ აუფრინეს. ყველას გვახსოვს ივანიშვილის ახსნა-განმარტება: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მთხოვა, ქადაგიძეს ხელი არ ახლოო! კარგა ხანია, აღარ არის ქადაგიძე, მაგრამ ლართან დაკავშირებული პრობლემები არ მოხსნილა (რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ ქადაგიძეში არ ყოფილა საქმე) და როგორც საბანკო საქმის ექსპერტი, ქ-ნი ლია ელიავა აცხადებს, არც მოიხსნება: „სანამ ეროვნულ ბანკში სავალუტო ფონდის მიერ გამოზრდილი ვირთხები დარბიან, ლარს არაფერი ეშველება“!

26 ბანკირი და მათ 2-დან 5 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს; რეფერენდუმის გზით აირჩიეს საკუთარი ეკონომიკური განვითარების სისტემა; უპარტიო იურისტებისგან, ჟურნალისტებისგან და უბრალოდ, ინტელექტუალებისგან შერჩეულმა 25-კაციანმა ჯგუფმა დაიწყო ახალი კონსტიტუციის წერა პირდაპირ ინტერნეტში, და ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი წინადადებების და კომენტარების დაწერა ონლაინ რეჟიმში. ყველაფერი ეს ისლანდიელებმა ყოველგვარი ძალადობის და სისხლისღვრის გარეშე მოახერხეს.

„ჩვენ არ წავედით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსის გზით, და მივიღეთ ისეთი ზომები, რაც მაშინ ყოვლად მიუღებლად ითვლებოდა: ჩვენ დავუშვით ბანკების კრახი, ამას გარდა არ მივიღეთ მკაცრი ეკონომიის ზომები, რომლებიც სხვა სახელმწიფოებისთვის თითქმის იძულებით ხასიათს ატარებდა, ჩვენ დავიცავით ჯანდაცვის სისტემა, განათლების სისტემა“, — განაცხადა **პრეზიდენტმა გრიმსონმა.** „ისლანდიამ გადაწყვიტა, არ გადაერჩინა ფინანსური სექტორი, არ გვიფიქრია იმათი დაცვა, ვინაც ქვეყანა ქაოსში ჩააგდო, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებში გააკეთეს, სადაც ფინანსური ბუშტებისთვის ჩვეულებრივ ადამიანებს ახდევინებდნენ საფასურს“, — წერს ეკონომიკის პროფესორი ვალფელსი. 2008 წლის კრიზისის შემდეგ ამერიკაში თეთრი სახლი მსხვილი ბანკების აქციებს ყიდულობდა, კონგრესმა კი 700 მილიარდი დოლარი დახმარება გამოუყო თავის ბანკებს, რაც ამერიკელ ხალხს, გადასახადის გადამხდელებს დაეკისრა. ისლანდიამ კი, სავალუტო ფონდის მხრიდან მუქარების მიუხედავად, თავისი გზით იარა და ყველაზე ადრე და ყველაზე ადვილად დასძლია კრიზისი! ამის გამკეთებელია ჩვენი მთავრობა? მან სახელმწიფო ტერორის დამნერგავები და ხაზინის ქურდობაში მხილებულნი არ დაუპატიმრა, ზოგი გაუშვა და ზოგიც პარლამენტში მოისვა გვერდით (ერთ-ორს კი ღიმილისმომგვრელი ბრალდებები წაუყენა) და იგი ბანკირების ხელისხლებას გაბედავს?!

მაშ, არ არის საშველი? თუ, მაინც არის შესაძლებელი ჩვენი ჭაობიდან ამოყვანა და ისეთი ცხოვრების დონის მიღწევა, როცა ქუჩებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში და ნაგვის ურნებთან აღარ დავინახავთ ხელგაწვდილ ბავშვებს, ბავშვიან ქალებს და ერთ დროს პატივცემულ ასაკოვან ადამიანებს; როცა პენსიით შესაძლებელი გახდება თვიდან თვემდე თავის გატანა; როცა მოისპობა გაჭირვებული ადამიანის საცხოვრებელი პირობების ქულობრივი შეფასების დამამცირებელი სისტემა; როცა ყველა ოჯახს ექნება თავზე ჭერი, ექნება გაზი, დენი და გათბობა, წამლის და საჭმლის ფული და, როცა შიმშილისგან აღარ დაიღუპება არც ერთი ბავშვი. გართობა-ფუფუნებაზე და შავი დღისთვის ფულის გადადებაზე არა მაქვს საუბარი, ან რომელ შავ დღეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მოსახლეობის უმრავლესობა მუდმივად შავ დღეშია, როცა ყოველი დილა საკუთარი თავის თუ ოჯახის გამოკვებაზე, ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრით იწყება. დასავლეთის ფეხის ხმას რომ ავყევით და თუთიყუშებივით დიქტატორს ვეძახით ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს, იმას რატომ არ ვუკვირდებით, რომ ბელარუსში, სადაც, საქართველოსი არ იყოს, არც გაზი აქვთ, არც ნავთობი და, ჩვენგან განსხვავებით — არც ზღვა, მთელი მოსახლეობა ადამიანურ(!) პირობებში ცხოვრობს. ნუთუ ძნელი იყო, გავცნობოდით სახელმწიფოს მართვის იმ მეთოდებს, რომელსაც აგერ 22 წელია, წარმატებით იყენებს მისი პრეზიდენტი? მაგრამ ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნებოდა, დასავლეთში განათლებამიღებულ ჩვენს უცხო ენების მცოდნე თავმომწონე პრეზიდენტს რაიმე რომ ესწავლა ვიღაც სოფელი ლუკაშენკოსგან, რომელიც პრეზიდენტობამდე მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთი რაიონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იყო მხოლოდ? და საერთოდ, **რაში გვჭირდება ბელარუსისკენ ან, თუნდაც, ისლანდიისკენ გახედვა, ჩვენ ხომ უყურადღებოდ ერთი წუთითაც არ დავუტოვებივართ ჩვენს სტრატეგიულ მეგობარს, რომელიც დღემდე გვაწვდის მზამზარეულ დეტალურ ინსტრუქციებს: საით გავიხედოთ** (ჩრდილოეთისკენ, არა), **ვის დაველაპარაკოთ** (რუსეთს, არა), **ვის ვეომოთ** (რუსეთს, კი; ავღანეთ-აფრიკაშიც, კი), **რა ავაშენოთ** (ველოსიპედები, კლოაკები და ფალოსები) და **რა დავანგრიოთ** (პირველ რიგში, განათლებამეცნიერება და მემორიალები), **რა გავყიდოთ** (მიწა, წიაღისეული და სტრატეგიული ობიექტები), **ვინ დავიჭიროთ** (500 ლარის ქრთამის ამღებნი) და **ვინ არა** (ხაზინის ქურდები — ათეულობით მილიონი დოლარის მიმთვისებელი განათლების მინისტრები, კომიტეტის თავმჯდომარეები და სხვა მაღალი რანგის მოხელეები); **ვინ ავირჩიოთ ან დავნიშნოთ** (ნაც-ქოცებიდან, ასო-ებიდან) და **ვინ გავანთავისუფლოთ** (მაგალითად, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, თანაც, კარგი მუშაობისთვის!). აკი განაცხადა კიდეც ქართული ოცნების ახალმა სახემ **მარიამ ჯაშმა: ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებთ დასავლეთის ყველა მითითებასო.** აბა რა, **ჩვენ ჭკუაზე თუ დავაპირეთ რაიმე, ან ჩრდილოეთისკენ გაგვექცა თვალი, ასეთ თავხედობას ვინ გვაპატიებს, სანამ დასავლეთი დაგვიქნევს თითს, მანამდე მათივე დაფინანსებული აგენტურა ანუ ასო-ები, იგივე მეხუთე კოლონა, გაგვასწორებს მიწასთან**.

ახლა, იმ პირველ(!) ნაბიჯებზე შევჩერდეთ, რაც, ჩემი აზრით, აუცილებელია არა რაღაც მწვერვალების დასაპყრობად, არამედ მინიმალური ადამიანური პირობების შესაქმნელად, უპირველესად, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ასაკით პენსიონერთათვის და სოციალური პაკეტის მიმღები იჯახებისთვის, რომელთა რაოდენობაც ჯამში ზრდასრული მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს (900 ათასამდეა). **ასაკით პენსია უნდა განისაზღვროს სამუშაო სტაჟის და დამსახურების მიხედვით, ხოლო მინიმალური პენსია არ უნდა იყოს კეთილსინდისიერად(!) ნაანგარიშები საარსებო მინიმუმზე ნაკლები.**

ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან, სურვილის შემთხვევაშიც კი, ძალიან ცოტა რამის განხორციელებას თუ შესძლებს ხელისუფლება (ამერიკასთან შეუთანხმებლად იგი ვერ გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს), მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა ვეცადოთ, ჩვენ მთავრობაზე უნდა მოვახდინოთ ზემოქმედება და არ დაველოდოთ „სტრატეგიული პარტნიორის“ წყალობას:

1. მართალია, საჯარო სამსახურებში თანამშრომელთა რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი, რაც ოცნების ხელისუფლებას ნაცების ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ერგო, მაგრამ ქართულმა ოცნებამ ოპტიმიზაციის პროცესის წამოწყება, რატომღაც, მხოლოდ ახლა, ხუთი წლის შემდეგ გადაწყვიტა. მიზანი არის თანამშრომელთა დათხოვნის ან მათთვის ხელფასების შემცირების ხარჯზე ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება 10 %-ით. ორივე შემთხვევაში მდგომარეობა რამდენჯერმე მეტ ადამიანს გაუუარესდება! რომც არავინ არ დაითხოვონ სამსახურიდან და მხოლოდ 10 %-ით შეუმცირონ ხელფასი, ვინ იგრძნობს ამ შემცირებას პირველ რიგში? ცხადია ის, ვისაც საარსებო მინიმუმზე ოდნავ მაღალი ანაზღაურება აქვს, და არა ის, ვისაც 20-30-ჯერ მაღალი აქვს, და ერთი იმდენს კიდევ სახელფასო დანამატების და პრემიების სახით იღებს! ამიტომ, **დაბალი შემოსავლების მქონე თანამშრომლებს კი არ უნდა შევეხოთ, ქამარი მაღალი რანგის მოხელეებს უნდა შემოვაჭერინოთ, უნდა გაუქმდეს სახელფასო დანამატები და პრემიები, და დადგინდეს ხელფასის მაქსიმალური ოდენობა თანამდებობებისდა მიხედვით** (ნაყოფიერი მუშაობისთვის უნდა გაიცემოდეს ე.წ. მეცამეტე ხელფასი წელიწადში ერთხელ); **პარლამენტი უნდა დაბრუნდეს თბილისში; პრეზიდენტი უნდა გადაბრძანდეს მისთვის განკუთვნილ შენობაში; მაქსიმალურად უნდა შეიკვეცოს დელეგაციების — პრეზიდენტის, პარლამენტარების, მინისტრების, სხვების (ამალით, დაცვით) არაფრისმომტანი, ვითომდაც საქმიანი ვიზიტები უცხოეთში.** საერთო ჯამში, ასობით მილიონი ლარი დაიზოგება, მაგრამ ეს მაინც არ იქნება საკმარისი: **უნდა დაწესდეს პროგრესული დაბეგვრა, პირველ რიგში, ბანკებისთვის,** რომლებიც ასობით პროცენტ მოგებას ნახულობენ სხვების, ძირითადად გაჭირვებული ხალხის გაკოტრების ხარჯზე. **ბანკებს უნდა აეკრძალოთ სამშენებლო, სამედიცინო, ფარმაცევტული თუ სხვა სახის ბიზნესის წარმოება.** ოჰ, ბანკები კერძო საკუთრებაა და ხელისუფლება ვერ ჩაერევა? არსებობს აპრობირებული სხვა გზაც — ნაციონალიზაცია **(პროგრესული გადასახადი უნდა დაუწესდეს აგრეთვე, კაზინოებს და იმ ბიზნესებს, რომლებიც აბრკოლებენ ადგილობრივი წარმოების განვითარებას);**

2. **უნდა აიკრძალოს უცხოტომელებზე ქართული მიწა-წყლის და წიაღისეული სიმდიდრეების გაყიდვა** (ისევე, როგორც ეს გააკეთა ლუკაშენკომ ბელარუსში. მართალია, ამის გამო დასავლეთმა მას ევროპის უკანასკნელი დიქტატორი უწოდა, მაგრამ ლუკაშენკომ დასავლეთის საზიანო რეკომენდაციების შესრულებას ბელარუსი ხალხის ინტერესების დაცვა ამჯობინა);

3. **ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე,** რომლებსაც სარგებელთან შედარებით გაცილებით დიდი ეკოლოგიური ზიანი მოაქვს ჩვენისთანა მცირემიწიანი სახელმწიფოებისთვის. **უარი უნდა ვთქვათ ისეთი მეგაპროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა ანაკლიის პორტი,** რომელიც არაფერში არ გვჭირდება (ამ ეტაპზე, მაინც!), რადგანაც ფოთის პორტიც არ არის სრულად დატვირთული და ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მთელი სიმძლავრით ამუშავების შემდეგ კიდევ უფრო ნაკლებად დაიტვირთება (უკვე ისედაც იკლო ტვირთბრუნვამ, რადგანაც ტვირთების დიდი ნაწილი ჩინეთიდან, საერთოდ, აზიიდან ირან-აზერბაიჯანის გზით, ანუ ჩვენთვის გვერდის ავლით ხვდება რუსეთში და ევროპაში). **ანაკლიის პორტი კი უპირველესად თავად ამერიკას სჭირდება წყალქვეშა ნავებისთვის, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, კიდევ ერთი სამიზნე იქნება რუსეთის რაკეტებისთვის!**

აი, რას ამბობს მეგაპროექტების თაობაზე **ჯონ პერკინსი: „ხალხების და ქვეყნების დასამონებლად მათ თავს ახვევენ მეგაპროექტ—ხაფანგებს, რომლებიც, თითქოსდა, აუცილებელია სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად; სინამდვილეში კი, ამ გზით ხდება ერთ დროს სუვერენული სახელმწიფოების გლობალურ იმპერიაში შეყვანა“;**

4. **სულ ლაპარაკია უცხოურ ინვესტიციებზე,** დიდი ოდენობით მათი მოზიდვის მნიშვნელობაზე და, იმავდროულად, ჩვენი ერთადერთი მილიარდერისგან სისტემატურად გვესმის, რომ მას არავითარი ინტერესი არ გააჩნია საქართველოში! და ამას იგი სიამაყით აცხადებს. განა ეს სატრაბახოა? **განა ივანიშვილის ინვესტიცია გვაწყენდა?** იქნებ მას აწყენდა? აკი საუკეთესო საინვესტიციო გარემოა საქართველოში! მაშ რატომ მხოლოდ ჰიდროსადგურების მშენებლობაში დებენ ფულს? **რუსეთში მცხოვრებ ჩვენებურ მილიონერებს რატომ ვეუბნებით უარს?** საშიშები არიან? მაინცადამაინც ამერიკული ან ჩინური ინვესტიციები გვინდა?

5. ნავთობის წყალობით აყვავდნენ სახელმწიფოები და ჩვენ, **ისეთ სიმდიდრეს, როგორიც სასმელი წყალია, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია და ვერაფერი ჩაანაცვლებს (ნავთობისგან განსხვავებით!), რატომ არ ვიყენებთ?** მისთვის სასაქონლო სახის მიცემაზე და ექსპორტირებაზე უკეთესი, უფრო მომგებიანი და, თანაც, გარემოსთვის აბსოლუტურად უვნებელი პროექტი, ვინ რა უნდა მოიფიქროს საქართველოში? თითქოს ყველა თანხმდება იმაზე, რომ უკეთესი მართლაც არაფერი არ გაგვაჩნია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინვესტორებიც მოძიებულია, მის განხორციელებას არა და არ დაადგა საშველი. ალბათ, არც დაადგება, რადგანაც საქმე სხვა რამეშია, ნებართვაშია(!) რომელსაც არ გვაძლევენ უფროსი „მეგობრები“, თორემ ამაზე უკეთეს საქმეში სად დააბანდებდნენ ივანიშვილი ან სხვები ფულს. მთელ მსოფლიოში მდინარეები და ტბები შრება, რის გამოც ისედაც დეფიციტურ სასმელ წყალზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება, მას სულ ახლო მომავალში ოქროს ფასი დაედება და, ამ დროს, **ჩვენი მთავრობა ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ, თურმე, სხვისი ინტერესებისთვის, სხვისი ფულით და, მაშასადამე, სხვისი კუთვნილება მომავალში ასაშენებელი ხუდონჰესი და ანაკლიის პორტი იქნება ჩვენი ეკონომიკური წინსვლის საწინდარი, პოტენციურად მილიარდობით დოლარის შემომტან წყლის ექსპორტზე კი ხმას არ იღებს, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად არც „ჰო“-ს ამბობს და არც — „არა“-ს.** ალბათ, მანამდე იქნება ასეთ გაყუჩებულ მდგომარეობაში, სანამ ყელში არ წაგვიჭერენ და ვალების გადაუხდელობის გამო მიწასთან ერთად წყლის გაყიდვასაც არ მოგვთხოვენ.

იმედს ვიტოვებ, რომ მთავრობა ვერ გაბედავს ჩვენს ზურგს უკან გარიგებას და ხალხის კუთვნილი ამ ულევი სიმდიდრის გაყიდვას. ეს თუ მოხდა, მაშინ **უკლებლივ ყველა, ვინც ხმას არ აღიმაღლებს ამ სავსებით მოსალოდნელი მოღალატური გარიგებების წინააღმდეგ (ვგულისხმობ, მიწის გაყიდვასაც), სახალხოდ უნდა შევაჩვენოთ და საქართველოდან გაძევებით დავსაჯოთ (მინიმუმ!), ქართულ მიწაში დამარხვა მათთვის დიდი პატივი იქნება!**

იაკობ ლეჟავა,
10 იანვარი, 2017

მთავრობა ვერ გაბედავს ჩვენს ზურგს უკან გარიგებას და ხალხის კუთვნილი ამ ულევი სიმდიდრის გაყიდვას. ეს თუ მოხდა, მაშინ უკლებლივ ყველა, ვინც ხმას არ აღიმაღლებს ამ სავსებით მოსალოდნელი მოღალატური გარიგებების წინააღმდეგ (ვგულისხმობ, მიწის გაყიდვასაც), სახალხოდ უნდა შევაჩვენოთ და საქართველოდან გაძევებით დავსაჯოთ (მინიმუმ!), ქართულ მიწაში დამარხვა მათთვის დიდი პატივი იქნება!

თეთრი სახლის ახალი პატრონი

რამდენიმე დღეც და ამერიკის შეერთებული შტატების ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიაში რიგით 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ერთგულების ფიცს დადებს და ოფიციალურად შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. მაინც, ვინ არის იგი, როგორი იყო მისი ცხოვრების გზა, ვიდრე თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში სავარძელს დაიკავებდა, რა პოლიტიკური მრწამსის მატარებელია?

დონალდ ტრამპი 1946 წლის 14 ივნისს ნიუ-იორკში დაიბადა. მისი მშობლები ფრედერიკ ტრამპი და მერი მაკლეოდი იყვნენ, რომელთათვის იგი მეოთხე შვილი იყო. 13 წლის დონალდი მშობლებმა ნიუ-იორკის ელიტურ სკოლაში შეიყვანეს, რის შემდეგაც პენსილვანიის უნივერსიტეტის ფინანსური სკოლის კურსი განვლო და ეკონომიკის მაგისტრის წოდება მიიღო. სტუდენტობის პერიოდში იგი სამოქალაქო მშენებლობის საქმიანობით დაკავებული მამამისის კომპანიაში მუშაობდა და სწავლის დასრულების მერეც ამ გზას გაჰყვა. 1971 წელს დონალდ ტრამპი დეველოპერული კომპანიის „ელიზაბეტ ტრამპ და შვილების“ თავკაცი გახდა, რომელსაც სახელი გადაარქვა და „ტრამპ ორგანიზეიშნი“ უწოდა, რომელმაც თანდათანობით უფრო მეტად დაიწყო მომძლავრება. თუმცა კი, როგორც ჩანს, საქმეები მთლად მშვიდობიანად არ მიდიოდა, რასაც ის გარემოება მოწმობს, რომ 1973 წელს ფედერალური ხელისუფლების ჩინოსნებმა ტრამპების ოჯახს მოიჯარეებისა და უძრავი ქონების მფლობელთა დისკრიმინაციის ბრალდება წაუყენეს, რაც დონალდმა კატეგორიულად უარყო. პრეტენზიების გაქარწყლების შემდეგ კომპანია სასტუმრო ბიზნესშიც ჩაერთო, ერთ-ერთის გახსნის მერე ის საუკეთესო მშენებლადაც კი დაასახელეს.

1982 წელს მწყობრში ჩადგა დღესდღეობით მთელ მსოფლიოში ცნობილი სასტუმრო „ტრამპ თაუერი“ ნიუ-იორკში, მერე დონალდი აზარტული თამაშების ბიზნესშიც ჩაერთო, რის შედეგადაც კომპანიამ საასპარეზოც გააფართოვა და ფინანსურადაც უფრო მეტად მომძლავრდა.

საქმიან წრეთათვის განკუთვნილი სოლიდური ჟურნალის „ფორბსის“ მონაცემებით, 1990 წელს „ტრამპ ორგანიზეიშნს“ კვლავ შეექმნა პრობლემები, ამჯერად ფინანსური სახის, რაც თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის ვალის დაგროვებაში გამოიხატა, თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა გადაიჭრა, ხოლო თავად დონალდ ტრამპის კაპიტალმა 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ბუნებრივია, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის კომერციული მოღვაწეობის სქემატური მონახაზიც არ არის, ისევე როგორც მხოლოდ საკვანძო მომენტების მონიშვნით შემოვიფარგლებით მის საკმაოდ მწირ პოლიტიკურ კარიერაზე საუბრისას. თუმცა კი, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება არა პოლიტიკურ ოლიმპომდე განვლილი გზის არა სიგრძეა, არამედ ის ამბიციებია, რომელმაც ამ ზეასვლას შეუწყო ხელი.

ქვეყნის პრეზიდენტად გახდომის შესახებ თავისი მიზანი დონალდ ტრამპმა 2012 წელს გააასაჯაროვა, ოთხი წლის შემდეგ კი ამ თანამდებობის ოფიციალური მაძიებელი გახდა. მთელი წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კომპანიის მსვლელობისას, ფაქტობრივად, ნულოვანი პოლიტიკური გამოცდილების გამო დონალდ ტრამპს, რომ იტყვიან, მხოლოდ ზარმაცები არ აკრიტიკებდნენ, თანაც ათასნაირ ბრალდებას უყენებდნენ, მათ შორის ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას, მათზე „სექსუალური ზეწოლას“.

კერძოდ, მეორე საპრეზიდენტო დებატების გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ამასთან დაკავშირებით ერთობ სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელიც ტელეწამყვან ნენსი ოდელთან, ასევე მსახიობ არიანა ზაკერთან სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილის გამოხატვას ეხებოდა. თუმცა ისიცაა, რომ არაერთი გარეგნულად მომხიბლავი ქალი იგივეს გაიძახოდა. ქალთა მისამართით დისკრიმინაციული გამოთქმების გამო ტრამპს ბოდიშის მოხდაც კი მოუწია და განაცხადა, რომ ეს დიდი ხნის ამბებია, რომლებზეც ყურადღების გამახვილება არ ღირს, მასმედიაში დონალდ ტრამპ ასევე აბრალებდნენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი გარკვეულ სიმპათიებს, მასთან მიმოწერასაც კი, კიდევ უამრავ სხვა რამეს, მაგალითად, პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, რის შესახებაც მან, კერძოდ, კომპანია „სიენენის“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ საკუთარი თეორია აქვს, რის თაობაზე როცა იქნება წიგნსაც დაწერს.

რაც შეეხება მისი პირადი ცხოვრების, ასე ვთქვათ, ოფიციალურ მატიანეს, უნდა ითქვას, რომ 1977 წელს დონალდ ტრამპმა ცოლად ჩეხი მოდელი ივანკა უინკლმაირი შეირთო, რომელთანაც სამი შვილი – დონალდი, ივანკა და ერიკი შეეძინა. 1992 წელს ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, მაგრამ დონალდი ბერბიჭად დიდ ხანს არ ყოფილა და 1993 წელს მსახიობ მარლა მეფლზე დაქორწინდა, თუმცა ეს კავშირი კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა – ისინი 1997 წელს განქორწინდნენ, რაც მილიარდერს ორი მილიონი დოლარი დაუჯდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის რიგით მესამე ქორწინება უკვე 2005 წელს შედგა, თანაც მისი რჩეული ამჯერადაც წარმოშობით აღმოსავლეთ ევროპიდანაა და ისიც მოდელი გახლავთ – მასზე 20 წლით უმცროსი სლოვენიელი მელანია კნაუსი.

აღსანიშნავია, რომ დონალდისა და მელანიას ქორწილში სტუმრად ბილ და ჰილარი კლინტონებიც იყვნენ. ამჟამად კი პრეზიდენტის მეუღლე ვაჟიშვილ ბარონთან ერთად „ტრამპ თაუერში“ ცხოვრობს. და, როგორც მელანიამ განაცხადა, დონალდთან ერთად ვაშინგტონის თეთრ სახლში გადაბარგებას უახლოეს დროში შვილის სწავლის გამო არ აპირებს.

ხოლო რაც შეეხება დონალდ ტრამპის უფროს შვილებს – ივანკასა და ერიკს – ისინი „ტრამპ ორგანიზეიშნის“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტები, და, ამდენად, საოჯახო ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი მესაჭეები არიან.

ოთარ ტურაბელიძე

მაღალი ტექნოლოგიებით რუსეთი ამერიკას 15 წლით ჩამორჩებაო!

სხვადასხვა **სფეროში რუსეთელ მეცნიერთა მიღწევებზე, მათ შორის ქვეყნის სამხედრო პროტენციალზე, რადიოელექტრონიკასა და სხვა დარგებში მიღწეულ შედეგებზე მეტად საგულისხმო ინტერვიუს თავის დროზე დიდად გახმაურებული ტელეპროგრამის „ჭეშმარიტების მომენტის“ ავტორთან, ცნობილ ტელეჟურნალისტ ანდრეი კარაულოვთან გამოაქვეყნა ცოტა ხნის წინათ ყოველკვირეულმა „არგუმენტი ი ფაქტიმ“, რომელსაც ფრაგმენტულად გთავაზობთ.**

– ავიღოთ აკადემიკოს ფორტოვის მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „ლიანდაგტრონის“ სასტენდო ვარიანტი. ესაა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი **ელექტრომაგნიტური ლიანდაგური ქვემეხი, რომელიც არანაირი ასაფეთქებელ მასალას არ საჭიროებს: მისი ჭურვი წამში... 2,5 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს და სამიზნის 463 კილომეტრის დაშორებით განადგურება შეუძლია.** მისი ანალოგის გაკეთებას ამერიკელები 7-8 წელიწადში გეგმავენ. მსგავსი რუსეთულ მიგნებებს არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ სამშვიდობო დანიშნულებაც აქვთ, აცხადებს ანდრეი კარაულოვი: ლიანდაგტრონს კომსმოსში ასტეროიდების განადგურება და ამით კაცობრიობისთვის უდიდესი საფრთხის აცილება შეუძლია.

რადიოელექტრონული იარაღი საერთოდაც ჩვენი დროის უმძლავრესი იარაღია. **როცა ამერიკული სამხედრო ხომალდი „დონალდ კუკი“ შავ ზღვაში შევიდა, მას თავზე რუსეთულმა ავიაგამანადგურებელმა გადაუფრინა და მწყობრიდან გამოიყვანა ის – გემი „დაყრუვდა“ და „დაბრმავდა“.** შავი ზღვიდან კაპიტანს ის აზიმუტიანი ხელის საათის დახმარებით გაჰყავდა, ხოლო სტამბოლში მისვლის შემდეგ ეკიპაჟის წევრთა ნახევარმა გადადგომის თაობაზე პატაკი დაწერა.

ბატონი კარაულოვი თვლის, რომ სწორედ რადიოელექტრონული ბრძოლის რუსეთული საშუალებების წყალობით გადაურჩა სასიკვდილო ხიფათს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ერდოღანის თვითმფრინავი ცოტა ხნისწინანდელი სამხედრო გადატრიალების მცდელობისას – **იმ ღამეს იგი პუტჩისტების ორ ავიაგამანადგურებელს ცაში „დაემალა“.** მისი აზრით ასევე რუსეთის დაზვერვამ მიაწოდა მას რამდენიმე საათის ადრე ცნობა პუტჩის შესახებ.

რაკეტა „რუბეჟი“, რომელიც მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში აკადემიკოს სოლომონოვის მიერაა შექმნილი, უნიკალურია: **მისი ჩამოგდება სტარტზე, ან კოსმოსში შეუძლებელია,** მით უმეტეს, რომ იქ იგი რამდენიმე ნაწილად იყოფა, რომელთაგან ყოველი – ცალკე აღებული ჩერნობილია. ყველა სიკეთესთან ერთად, „რუბეჟს“ ნებისმიერი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გარღვევა შეუძლია...

ანდრეი კარაულოვის თქმით, სწორედ რუსეთია ისეთი სასწაულის სამშობლო, როგორიცაა... თავის გადანერგვა – პირველმა ოპერაცია ძაღლზე ქირურგმა ვლადიმერ დემიხოვმა ჩაატარა. ახლო მომავალში პროგრამისტ ვალერი სპირიდონოვს თავის გადანერგვის ოპერაციას იტალიელი ქირურგი გუკეთებს, რომელიც დემიხოვის მეთოდიკას გამოიყენებს. 2000 წელს რუსეთელმა ერნსტ მულდაშევმა პაციენტ ქალს თამარ გორბაჩოვას... თვალი გადაუნერგა.

ბოლოს, ბატონი კარაულოვი იმასაც აცხადებს, რომ მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს 15 წლით ჩამორჩება, 3-4 წელიწადში ეს მანძილი 100 წლამდე გაიზრდებაო...

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

რუსი დიპლომატის ხსოვნის უკვდავსაყოფად

თანამედროვე ხელოვნების ცენტრში მდებარე საგამოფენო დარბაზს, სადაც რუსი დიპლომატი ანდრეი კარლოვი მოკლეს, მის სახელს დაარქმევენ. ამის შესახებ თურქეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო ანადოლუ იტყობინება. ანდრეი კარლოვი 19 დეკემბერს საგამოფენო დარბაზში სიტყვით გამოსვლისას მოკლეს.

პაკისტანმა ფრთოსანი რაკეტა გამოსცადა

პაკისტანმა ფრთოსანი რაკეტა ბაბურ-3 გამოსცადა. რაკეტა, რომლის მოქმედების რადიუსიც 450 კილომეტრს შეადგენს, წყალქვეშა ნავიდან გაუშვეს და მან სამიზნის განადგურება წარმატებით შეძლო. ოფიციალური ისლამაბადის მტკიცებით, ექსპერიმენტი თავდაცვით ხასიათს ატარებს და მიზნად ინდოეთისგან მომდინარე საფრთხეებზე ადეკვატური პასუხის გაცემას ისახავს.

წყალდიდობა ტაილანდში

ტაილანდში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა იზრდება. ბოლო მონაცემებით, სტიქიამ 25 ადამიანი იმსხვერპლა. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ტაილანდის არმიაცაა ჩართული. შეფერხებით მუშაობს ადგილობრივი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები.

ერთ წელიწადში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „საზღვრის დარღვევისთვის“ 2775 ქართველი დააკავეს!

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში 25 წლის რევაზ სრესელის გათავისუფლებას ელოდებიან. იგი ორი დღის წინათ რუსეთის მესაზღვრეებმა სოფლის სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. სრესელი შობის დღესასწაულზე სალოცავში სანთლების ასანთებად იყო ასული, იქვე ეკლესიასთან კი რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები პატრულირებდნენ, რომლებმაც დაკავებულს ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდება წაუყენეს. ჯარიაშელები აცხადებენ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ეკლესიასთან მისულ მოქალაქეებს რუსეთის მესაზღვრეები აკავებენ.

რევაზ სრესელის მსგავსად, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 2016 წელს, ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, 134 პირი დააკავეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებს ძირითადად მავთულხლართებისა და ეგრეთ წოდებული სასაზღვრო ბანერების მიმდებარე ტერიტორიაზე აკავებდნენ, ცხინვალის იზოლატორიდან კი ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული ჯარიმის, 2000 რუბლის, გადახდის შემდეგ ათავისუფლებდნენ. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებნი აცხადებენ, რომ წლიდან წლამდე სოფლებში ცხოვრება გაუსაძლისი ხდება, რადგან დაკავების შიშით ვერც ნაკვეთებში გადიან მიწის დასამუშავებლად და ვერც საქონელი გაჰყავთ საძოვარზე.

სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეები ქართველი სამართალდამცავებისგან პატრულირების გამკაცრებას და სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებას ითხოვენ. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივმა მოსახლეობამ არც კი იცის, საიდან იწყება ოკუპირებული ტერიტორია და დაკავებების ყველაზე მაღალი სტატისტიკაც სწორედ ასეთ შემთხვევებს უკავშირდება.

2008 წლიდან 2016 წლის ჩათვლით რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით სულ 2 775 საქართველოს მოქალაქე დააკავეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთის მიმართულებით 1 788 პირი, ცხინვალის რეგიონში კი 987 საქართველოს მოქალაქე იყო დაკავებული.

გოგა აფციაური

ვის დარჩება მოსმენების გასაღები?

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ე.წ. მოსმენების გასაღების გამოტანა ერთმნიშვნელოვნად დაუშვებელია.

„ჩვენთვის უმთავრესი პრინციპია, რომ მოვახერხოთ და შევინარჩუნოთ ისეთი პროექტი, რომელიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად დაიცავს ადამიანის უფლებებს, მეორე მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფს იმ ძალიან მნიშვნელოვან სიკეთეს, რომელსაც უსაფრთხოება ჰქვია, მითუმეტეს, ისეთ რთულ რეგიონში, რომელშიც საქართველო იმყოფება და 21-ე საუკუნეში, სადაც ტერორიზმი დიდი გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის. ვერ მოვისმინე პასუხი, რომელი ქვეყნის გამოცდილება არის ისეთი, სადაც აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანო არის, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სისტემის ფუნქციონირებას, რომელიც ამ ორივე სიკეთეს დაიცავს,“ — აცხადებს უმრავლესობის დეპუტატი სოფო კილაძე.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ კი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ფარულ მიყურადებას და მოსმენებს პოლიტიკური მიზნებისთვის და ოპონენტებზე დევნისთვის იყენებს.

„ხელისუფლება ძალიან ჯიუტად, პრაქტიკულად, ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით ცდილობს თავის სისტემასა და სამსახურში, რომელსაც ულიმიტოდ მოსმენის საშუალება აქვს, ბერკეტები შეინარჩუნოს,“ — განაცხადა გიგი წერეთელმა.

* * *

ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადასინჯვა არასამთავრობო სექტორის ჩართულობით იქნება უზრუნველყოფილი, — განაცხადა ჟურნალისტებთან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

„მიმდინარეობს კონსულტაციები, მათ შორის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასეთი ჩართულობით იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი კანონის გადასინჯვა“, — განაცხადა კობახიძემ.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ,“ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ და სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების თაობაზე კანონპროექტების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი 32 წევრისგან დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ხელმძღვანელობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი სამართლებრივი ნორმები პარლამენტმა 31 მარტამდე უნდა შეიმუშაოს.

თბილისში ავტობუსების ბაზა შენდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დიდ დიღომში ავტობუსების ბაზის მშენებლობა დაათვალიერა. **377 ავტობუსზე გათვლილი ავტობაზა ევროპული ტექნოლოგიებით აღიჭურვება და იქ „მანის“ 143 ახალი ავტობუსი განთავსდება, რომელთა მიღება მარტში დასრულდება.**

ამჟამად, ტენდერში გამარჯვებული შპს „დაგის“ სამშენებლო ჯგუფები ძირითადი ნაგებობების ფუნდამენტის ჩასხმას ამთავრებენ. ბაზისთვის გამოყოფილ 6 ჰექტარ მიწის ფართობზე ავტობუსების სადგომების გარდა, სერვისცენტრი, სამრეცხაო, ბენზინ და CNG ტექნოლოგიის გაზგასამართი სადგურები, ადმინისტრაციული და დამხმარე შენობები აიგება. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, ავტობაზის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდიანეობს.

„ბაზა ახალი ავტობუსებისთვის არის განკუთვნილი, შესაბამისად, იქ იქნება ყველა ტექნიკური პირობა, რათა ახალ ავტობუსებს მოვემსახუროთ. მათ შორის, გაზგასამართი სადგური, სამრეცხაო, ტექნიკური მომსახურების ცენტრი. სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიში მიმდინარეობს, რათა მას შემდეგ რაც ყველა ავ-

ტობუსს მივიღებთ და შესაბამისი მიმართულებით გავუშვებთ, ადგილი მზად იყოს და მათი მომსახურება ახალი ბაზის პირობებში მოხდეს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ავტობაზაზე ახალი ავტობუსებისთვის ყველა სახის მომსახურების გაწევა იქნება შესაძლებელი. მათ შორის, ყოველდღიური სერვისი და კაპიტალური რემონტი. ავტობაზა 12-მეტრიანი „მანის“ ავტობუსების გარდა, საშუალო, 9-მეტრის სიგრძის ავტობუსების მიღებასაც შეძლებს.

დავით ნარმანიასთან ერთად, ავტობაზაზე, თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი ნუგზარ ჭეიშვილი და საბურთალოს გამგებელი ბექა მიქაუტაძე იმყოფებოდნენ.

დიდ დიღომში ავტობაზის მშენებლობა 2016 წლის ივლისის ბოლოს დაიწყო.

სანიტარიულმა ჭრებმა გამოიწვია აბსოლუტურ მაჩვენებლებში ციფრების ზრდა

დედაქალაქის მერი დავით ნარმანია IDFI-ის კვლევის შედეგებს ეხმაურება, რომლის მიხედვითაც 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით, თბილისის მერიის ნებართვით მოჭრილ ხეებს შორის დაზიანებულის სტატუსი მინიმუმ 5-ჯერ მეტ ხეს მიენიჭა.

ნარმანიას განცხადებით, დაზიანებული ხეების მოჭრა, სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე განახორციელეს.

„2016 წელს ჩვენ ვახორციელებდით სანიტარიულ ჭრებს, რომლის ფარგლებშიც ჯერ ხდებოდა ხეების მდგომარეობის შეფასება, მათი ნუმერაცია და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ხეების მოჭრა. ეს არის ძირითადი ფაქტორი, რამაც გამოიწვია აბსოლუტურ მაჩვენებლებში ციფრების ზრდა, თუმცა სანიტარიული ჭრები არის აუცილებელი იმისთვის, რომ დაზიანებულმა, დაავადებულმა ხეებმა შემდგომ სხვა ჯანსაღი ხეები არ დააზიანოს“, — განაცხადა ნარმანიამ.

მაია რჩეულიშვილს საავადმყოფოდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააბრუნებენ!

მაია რჩეულიშვილმა **უარი განაცხადა სამედიცინო პროცედურების ჩატარებაზე და სამედიცინო დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ,** — ეს განცხადება პროკურორმა დავით გუმბერიძემ „ცენტრ პოინტის“ საქმის ე.წ. ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გააკეთა. მისი თქმით, ბრალდებული სასამართლოში გამოცხადებას თავს არიდებს და პროცესს ხელოვნურად აჭიანურებს:

„ჩვენ ვამბობთ, რომ დაცვისა და ბრალდებულის მხრიდან ადგილი აქვს სასამართლოში გამოცხადების თავის არიდებას. ამით ცდილობენ, პროცესი გაჭიანურდეს. შესაბამისად, ჩვენ დავაყენეთ შუამდგომლობა, რომ პროცესი დაინიშნოს 12 იანვარს და ამ მიზეზით კიდევ არ მოხდეს სასამართლო პროცესების გაჭიანურება, რათა დასრულდეს საქმის დროულად განხილვა.შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე გეგმავს იმ მოწმეების დაკითხვას, რომლებიც ბრალდებულის მამხილებელ ჩვენებას იძლევიან. ესენი არიან „ცენტრ-პოინტ აჭარას“ თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მაია რჩეულიშვილის მითითებებს ასრულებდნენ. მათ შორისაა ბუღალტერი, რომლის დაკითხვაში მონაწილეობა სურდა თავად ბრალდებულს“, — განაცხადა დავით გუმბერიძემ.

◎ საფეხბურთო მოზაიკა

THE BEST და საუკეთესო: კრიშტიანუ რონალდუს მორიგი ტრიუმფი

ციურიხში ფიფამ განვლილი სეზონი შეაჯამა და წლის ლაურეატებიც დაასახელა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ახალ პრიზს სახელად The Best 2016 წლის საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ დაეუფლა.

როდესაც სცენაზე კრიშტიანუ რონალდუ გამოიძახეს და მას წლის საუკეთესოს პრიზი გადასცეს, პორტუგალიელმა კბილი გაჰკრა ლიონელ მესის, რომელიც ციურიხში დაჯილდოებაზე არ ჩასულა: „ვწუხვარ, რომ „ბარსელონადან“ ზოგიერთები ჩვენთან არ იმყოფებიან... მაგრამ ეს გასაგებია“.

6-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ „ფრანს ფუტბოლისა“ და ფიფას გზები გაიყარა და ისინი ცალ-ცალკე აჯილდოებენ წლის საუკეთესო ფეხბურთელებს. რონალდუმ უკვე მოიგო „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთი, ახლა კი ჯერი ფიფას პრიზზე მიდგა. ეროვნულ ნაკრებთა თავკაცებმა და კაპიტნებმა (სხვათა შორის, ვლადიმირ ვაისმა პირველ ადგილზე ლიონელ მესი დააყენა, ხოლო ჯაბა კანკავამ — ანტუან გრიზმანი) საუკეთესოდ 31 წლის რონალდუ აირჩიეს.

ფიფას გალა-დაჯილდოების ყველა გამარჯვებული

ფიფას წლის გუნდი

მანუელ ნოიერი, დანი ალვეში, ჟერარდ პიკე, სერხიო რამოსი, მარსელო, ლუკა მოდრიჩი, ტონი კროოსი, ანდრეს ინიესტა, ლიონელ მესი, ლუის სუარესი, კრიშტიანუ რონალდუ;

წლის საუკეთესო ფანები

„დორტმუნდისა“ და „ლივერპულის“ ფანები;

წლის საუკეთესო ქალთა გუნდის მწვრთნელი

სილვია ნეიდი;

ფეერ პლეის პრიზი

„ატლეტიკო ნასიონალი“ (კოლუმბია);

წლის საუკეთესო მწვრთნელი

კლაუდიო რანიერი („ლესტერი“);

ბრწყინვალე კარიერის პრიზი

ფალკაო (ფუტსალი);

პუშკაშის სახელობის პრიზი

მოჰდ ფაიზ სუბრი (მალაიზია);

წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი

კარლი ლოიდი;

წლის საუკეთესო ფეხბურთელი

კრიშტიანუ რონალდუ.

მუნდიალის მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის 32-დან 48 გუნდამდე გაზრდის საკითხს ფიფას საბჭომ მხარი დაუჭირა.

როგორც ფიფას ტვიტერის ოფიციალური გვერდი იტყობინება, ციურიხში გამართულ კონგრესზე საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. მუნდიალის ახალი ფორმატი ძალაში 2026 წლიდან შევა და 48 გუნდი 16 სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება.

ბუენოს აირესში მესის ქანდაკება გაანადგურეს



„ბარსელონასა“ და არგენტინის ეროვნული ნაკრების ფორვარდის ლიონელ მესის ძეგლი, რომელიც ბუენოს აირესში გასულ წელს დადგეს, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაანადგურეს. Mundo Deportivo-ს ცნობით, ქანდაკება ორ ნაწილადაა გატეხილი.

ქალაქის ხელმძღვანელთა განცხადებით, ფეხბურთელის ძეგლს უახლოეს დღეებში აღადგენენ, ხოლო ამ ვანდალიზმის ჩამდენები მკაცრად დაისჯებიან.

როგორც ცნობილია, მესის სამშობლოში ხშირად აკრიტიკებენ და გულშემატკივართა ნაწილი მიიჩნევს, რომ არგენტინელი ვარსკვლავი ეროვნულ გუნდში ისეთი შემართებით არ თამაშობს, როგორც კატალონიურ კლუბში.

გიორგი შოთაძე

◎ ხელბურთი

ასე ვერ გავფრინდებით!

ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა მეორე მატჩიც წააგო ლუქსემბურგთან, ამჯერად მეტოქის მოედანზე — 29:35. ევრო 2020-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში გასასვლელად ამ ჯგუფიდან 11 და 15 იანვარს იტალია და ლუქსემბურგი იბრძოლებენ, ხოლო საქართველო იმავე მიზნის მიღწევას ივნისში ჩელენჯ ტროფიდან შეეცდება.

ლუქსემბურგში ჩვენმა ნაკრებმა უკეთ აუღო ალღო მეტოქის 3-2-1 დაცვას და ჩვენმა ხაზის მოთამაშემ შოთა გრიშიკაშვილმა 6 გოლიც გაიტანა, მაგრამ ლუქსემბურგელთა პივოტმა შრიოდერმაც შეგვიგდო 7, ხოლო დაცვაში პრობლემების გამო მეტოქე თავიდანვე გავუშვით წინ, განსხვავებით პირველი მატჩისგან, როცა ბოლო მეოთხედამდე თანაბარი ბრძოლა იყო.

მასპინძლებმა 18:13 მოიგეს პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ თამაშში კარგად ჩაერთო მეკარე ტორონჯაძე, რამაც საშუალება მოგვცა ორჯერ სამამდე შეგვემცირებინა სხვაობა (23:26, 27:30), მაგრამ მეტი ველარ მოვახერხეთ.

ჩელენჯ ტროფი 2017 წლის ივნისში გაიმართება და გათამაშდება ევრო-2020-ის მთავარი შესარჩევი ეტაპის ბოლო საგზური. უკვე განვლილ შესარჩევ რაუნდში ტრავმების გამო დაგვაკლდნენ ლიდერები რუსია და მსხვილიძე, ხოლო იტალიასთან ორი მარცხის შემდეგ აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდა, რადგანაც ჩელენჯ ტროფიზე მოთამაშეთა ასაკი 25 წლით იქნება შეზღუდული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

კოლელიშვილის ექსკლუზიური სინბინი

საფრანგეთის ტოპ 14-ის გასულ ტურში ერთი მეტად უცნაური ინციდენტი მოხდა. „კლერმონისა“ და „ტულონის“ მატჩის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა რეფერიმ მასპინძელთა მესამეხაზელი ვიქტორ კოლელიშვილი გაასინბინა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი „კლერმონის“ დამრიგებელ ფრანკ აზემას მწვრთნელისთვის გამოყოფილი ტექნიკური ზონის დატოვება და მეოთხე მსაჯთან დისკუსიაში ჩაბმამ მოუწია.

რა მოხდა? საკამათო და გასარჩევი თურმე ქართველი მორაგბის სინბინის ხანგრძლივობა ყოფილა. „მეოთხე მსაჯს მივუთითე, რომ კოლელიშვილი 53-ე წუთზე უნდა დაბრუნებულიყო სინბინიდან, არადა უკვე 56-ე მიმდინარეობდა“, — თქვა გაოგნებულმა აზემამ. „დროის ათვლაში შეცდომა მოგვივიდა“, — თავს იმართლებდა მატჩის შემდეგ მეოთხე მსაჯი.

კლერმონელი ფანები, ცხადია, აზემაზე არანაკლებ გაცოფებულნი იყვნენ მსაჯთა ბრიგადის ასეთი უყურადღებობით და სტადიონზე დაძაბულობამ საგრძნობლად იმატა. როცა კოლელიშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო, ქრონომეტრზე დაფიქსირდა 42:56, ხოლო როცა ქართველს მინდორზე დაბრუნების ნება დართეს, წამმზომი უკვე 56:26-ს აჩვენებდა, ანუ „ბორჯღალოსანმა“ სინბინში 13 წუთი და 30 წამი (!) გაატარა 10 წუთის ნაცვლად! „შესაძლოა, ვიტოს სხვებზე მეტი დასვენება სჭირდება, არბიტრებმა უკეთ იციან...“ — სარკასტულად იხუმრა ფრანკ აზემამ.

შეგახსენებთ, რომ „კლერმონმა“ ის მატჩი 30:6 მოიგო და სატურნირო ცხრილში ლიდერობა შეინარჩუნა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სენად ლულიჩის უცნაურობანი და საიდუმლოება

დიდი ჩუმჩუმელა და უცნაური ვინმე უნდა იყოს რომის „ლაციოში“ ბურთის მაგორებელი ბოსნიელი ფეხბურთელი სენად ლულიჩი. ალბათ ბოსნიის უშიშროების სამსახური არ ასაიდუმლოებს ინფორმაციებს ისეთი მონდომებითა და გულდასმით, როგორც სენადი — პირად ცხოვრებას.

აგერ უკვე ხუთი წელია ლულიჩი ცოლიანი კაცია და აქამდე იგი ფართო საზოგადოებაში მეუღლესთან ერთად მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა, ისიც მაშინ, როდესაც რომაული კლუბის ბოსებმა სპეციალურად ფეხბურთელებისა და მათი ცოლებისათვის წვეულება მოაწყვეს და რჩეულის დამალვა უბრალოდ აღარ გამოდიოდა.

აპენინელი „ყვითელი“ მოკალმეები ვარაუდობენ, რომ ლულიჩის მიერ ცოლის, დანიელა ლულიჩის დამალვის მიზეზი შესაძლოა მის რელიგიურ ტრადიციებში უნდა ვეძებით. თუმცა, სხვანი იძახიან, სენად ლულიჩი უბრალოდ ასეთი მუდო კაცია და არ მოსწონს, მის ტურფას ტან-ფეხზე რომ აკვირდებიანო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ცხოვრების წესი

ჯადოსნური ჯოხები

ბევრ ჩვენგანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს — ზოგს ჭარბი წონა აწუხებს, ზოგს გული, მოკლედ, ვის რა და ვის — რა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყველას ორგანიზმის გაჯანსაღების სურვილი აქვს, ტონუსში მოსვლა უნდა. ამის გასაკეთებლად საუცხოო საშუალებაა ფიზიკური აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ადვილად ხელმისაწვდომი ხერხი, ეგრეთ წოდებული „სკანდინავიური სიარული“.

მედიკოსები სავსებით სამართლიანად ამბობენ, რომ თუკი კაცს საერთოდ სიარული შეუძლია, მას ზუსტად ასევე შეუძლია ჯოხებით სიარულიც. სკანდინავიური სიარულის უნიკალურობა იმაშია, რომ ის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, უკლებლივ ყველას უხდება: **მამაკაცებსაც, ქალებსაც, ბავშვებსაც, ხანდაზმულებსაც, ფეხმძიმეებსაც, ჭარბწონიანებსაც, ასევე გულის სისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებების მქონეებსაც, ტრავმებისა და ოპერაციების შემდეგ სარეაბილიტაციო კურსის ჩამტარებლებსაც.** გარდა ამისა, სკანდინავიური სიარული ასევე უხდება იმათ, ვინც ოსტეოქონდროზს, ართროზს, ართრიტს, გულის იშემიურ და ფილტვების დაავადებებს, ჭარბ წონასა და მე-2 ტიპის შაქრიან დიაბეტს უჩივის.

საქმე ის არის, რომ ჯოხების გამოყენება კოჭ-წვივის სახსრებზე, მუხლებსა და ხერხემალზე დატვირთვის სამჯერ შემცირების საშუალებას იძლევა, ამიტომაც სკანდინავიური სიარული იმათაც მოუხდება, ვისაც სპორტული ვარჯიში არ შეუძლია. ხელების აქტიური მოძრაობის პროცესში კუნთების 90 პროცენტი ერთვება. ამიტომაც ერთი ვარჯიშის დროს თითქმის 50 პროცენტით მეტი კალორია იწვება, ვიდრე ძუნძულით სირბილის დროს. გარდა ამისა, **სკანდინავიური სიარულის პროცესი დადებითად მოქმედებს გუნებაგანწყობაზე, აძლიერებს იმუნურ სისტემას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს ძილს, ამცირებს სტრესის დონეს და ზრდის ორგანიზმის მიერ სეროტონინის გამომუშავებას.**

სკანდინავიური სიარულის წესები

ჩვეულებრივი სიარულის დროს ადამიანი ხელებს იქნევს და სწორედ ამ ბუნებრივ მოძრაობებს ეფუძნება სკანდინავიური სიარულის ტექნიკა, ამიტომ მისი ათვისება რთული არ არის.

სიარულისას ჯოხები მიწაზე სხეულის უკან 45-გრადუსიანი კუთხით იდგმება, რა დროსაც მეტად მნიშვნელოვანია მათგან ტანის აკვრა და არა დაყრდნობა. სიარულის დროს მხრები მოდუნებული და ჩამოწეული უნდა გქონდეთ, ნაბიჯები კი ქუსლიდან ფეხის წვერამდე გადაგორებით უნდა კეთდებოდეს. სიარულის დროს არ უნდა იჩქაროთ: მთავარია თქვენთვის მაქსიმალურად კომფორტული რიტმის შერჩევა და ვარჯიშისგან სიამოვნების მიღება. დატვირთვის ინტენსივობის გასაზრდელად საკმარისია სწრაფად და დიდი ნაბიჯებით სიარული, თანაც ამ დროს ხელების აქტიურად ქნევა.

საშუალოდ რეკომენდებულია კვირაში რამდენიმე დღის განმავლობაში 45-60-წუთიანი ვარჯიში, რა დროსაც გასათვალისწინებელია საკუთარი შეგრძნებები და დასახული მიზნები.

რაც შეეხება ჯოხების სიგრძეს, მისი გამოთვლა მარტივია: **საამისოდ საკუთარი სიმაღლე უნდა გაამრავლოთ 0,68-ზე**. მაგალითად, თუ ადამიანის სიმაღლე 165 სანტიმეტრია, მისთვის საჭირო ჯოხების სიგრძე (165X0,68=112) 112 სანტიმეტრი იქნება.

ისიც უნდა ითქვას, რომ იმის მიუხედავად, რომ სკანდინავიური სიარული ფიტნესის ძალიან მარტივ სახეობადაა მიჩნეული, მის საბაზისო ტექნიკაში ზოგიერთი ნიუანსია, რომელსაც ახალბედები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა სიარულის დროს იდაყვებში ხელების მოხრა. არადა, ხელები მაქსიმალურად გასწორებული უნდა იყოს, მხრების სარტყელი კი პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს. იგივე თქმა შეიძლება მოძრაობებზეც: ხშირად ხელს თეძოს დონეზე აჩერებენ, თუმცა კი ამპლიტუდა დიდი, ქანქარისებრი უნდა იყოს.

ახალბედები ასევე ხშირად ჯოხებს სხეულის წინ დგამენ, არადა, ისინი ხელების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ და მათ ქნევას მიყვებოდნენ. ამავე დროს საჭირო არ არის მუშტის მოჭერა — ჯოხის დაფიქსირება ღია ხელისგულით, მისი დიდი და საჩვენებელი თითებით დაჭერა უნდა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

მეუღლე დარეჯან კობახიძე, შვილები მაია, ნიკა ჩიგოშვილები, შვილიშვილები ელენე, ალექსანდრე ჩიგოშვილები, რძალი მეგი ცეცაძე, და მადონა, დისშვილები ხათუნა, ნათია, თეა გეგენავები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ჩიგოშვილი

პანაშვიდი: 10,11 I, 16 სთ. მისამართი: თბილისი, კალ. ქუთათელაძის №19 (შანხაი), მე-2 სად., მე-9 სართ. გამოსვენება 12 I, 14 სთ. ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან, დათა გულუას აღმართი №2.

გლდანში „საქართველოს ბანკი“ გაძარცვეს

დაახლოებით დილის 9 საათისთვის გლდანის მე-5 მიკრორაიონში, ხიზანიშვილის ქუჩის 77 ნომერში საქართველოს ბანკი დააყაჩაღეს. წაღებული თანხის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია. მომხდარს საქართველოს ბანკშიც და შსს-შიც ადასტურებენ. საქმე სსკ 179-ე მუხლით დაიწყო. ამ დროისათვის დაკავებული არავინაა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტთა ჯგუფი მუშაობს.

სამეგრელოში კიდევ ბევრი უკანონო იარაღია!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1984 წელს დაბადებული ზ.ს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი, ნაგანის ტიპის რევოლვერი და 19 ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.



სანთელი

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის

ანაიდ ბოსტანჯიანის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს.

მარადიული ხსოვნა

ჯეირან არონია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ხშირად ავადმყოფობდა და რამდენიმე მძიმე ოპერაციაც გადაიტანა, მაინც მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება, ვინაიდან ყოველთვის შემართული და იმედიანად უყურებდა მომავალს. მებრძოლი კაცი იყო და ცდილობდა აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება, მაგრამ ვერ გაუძლო მისმა გულმა ცხოვრების რეჟიმის მკვეთრ ცვლილებებს.

დაიბადა 1953 წელს გალის რაიონის სოფ. რეჩხო-ცხირში. მშობლიურ სოფელში სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1982 წელს მიიღო ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.

1982-1993 წლებში მუშაობდა ტყვარჩელის სახელმწიფო თბოელექტროსადგურში. მან გაიარა გზა ცვლის უფროსობიდან მთავარ ინჟინრამდე. 1993 წლიდან იგი შპს ენგურის ჰიდროელექტროსადგურშია, ჯერ მთავარი ინჟინრის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურს. იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, იყო უწესიერესი პიროვნება, კარგი მეოჯახე და მეგობარი.

მას უსაზღვროდ უყვარდა ენგურჰესი და ხშირად იმეორებდა, ის ჩემი მეორე სახლიაო, რაც სავსებით ლოგიკური იყო.

იგი ხშირად ამბობდა ასეთ ფრაზას: „ENGURHESI არ არის მხოლოდ საწარმო, სადაც ხდება ELECTROENERGIIS გამომუშავება, არამედ ის განაწყენებულ ძმებს შორის ერთმანეთთან მისასვლელი ხიდიაო“, და იგი სრულიად მართალი ბრძანდებოდა, რაშიც განვლილმა 24 წელიწადმაც დაგვარწმუნა. ჯეირან არონიას და მისთანებს შეეძლოთ აფხაზებთან, ერთ მაგიდასთან დასხდომა და როგორც მოლხენა, ასევე სერიოზული საუბარიც დანგრეული ურთიერთობის აღდგენის საკითხებზე.

1992-1993 წლების ცნობილი მოვლენების დროს, წლობით დაგროვილ ქონებას და კარ-მიდამოს ათასობით ადამიანი უკანმოუხედავად ტოვებდა, ჯეირანი და ენგურჰესის ოცამდე თანამშრომელი, მაშინდელი თავკაცების გიორგი მიქავას და ლევან მებონიას ხელმძღვანელობით სადგურში დარჩა. ენერგეტიკოსთა ამ ჯგუფმა რამდენიმე კვირა შეძლო არამც თუ ენგურჰესის ხსნა დატბორვისაგან, უზრუნველყო მისი გამართული მუშაობაც. დიახ, იმ პერიოდში ენგურჰესი არ გაჩერებულა და საქართველოს ენერგოსისტემას აწვდიდა მეტად ძვირფას და საჭირო ელექტროენერგიას, თანაც უფასოდ. ასე რომ, 1993-1994 ავადსახსენებელ წლებში ენგურჰესმა იტვირთა მოსახლეობის სოციალურად დაცვა და ქვეყანას რამდენადმე შეუმსუბუქა ჩამონგრეული ეკონომიკური მდგომარეობა.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც ნამდვილად დაკლდება არა მარტო ოჯახსა და ნათესავებს, არამედ ენგურჰესს და ქვეყნის ელექტროსისტემას, სადაც მან განვლო ცხოვრების საუკეთესო წლები უმძიმეს მდგომარეობაში — 23 წელიწადი დევნილად საკუთარ სამშობლოში.

ოჯახის გადაწყვეტილებით, მის ნეშტს ჩაიხუტებს დედაქალაქის მიწა, ხოლო სული მისი ზეცაში დაიმკვიდრებს ადგილს.

მარადიული ხსოვნა მის სახელს!

შპს ENGURHESISა და VARDNILHESIS კოლექტივი, დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო

ისრაელელი ჟურნალისტები თბილისში

საქართველოს ტურისტული მიმართულების გასაცნობად ისრაელის წამყვანი მედიასაშუალებების 15-მდე ჟურნალისტი თბილისს ეწვია. მედიის წარმომადგენლებს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატაში „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი და ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდნენ. პრესტურში მონაწილეობენ ისრაელის მრავალმილიონიანი აუდიტორიის მქონე მედიასაშუალებები. უცხოელი ჟურნალისტებისთვის ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ თემაზე „საქართველოს ტურიზმის პოტენციალი – 2017“ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიების ფარგლებში გიორგი ჩოგოვაძემ და იციკ მოშემ საქართველოში მოქმედი ისრაელის ტურისტული კომპანია „დორონ თრეველი“ ისრაელიდან და მსოფლიო ებრაელობიდან საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტის შემოყვანისთვის (20 ათასი ტურისტი წლიურად) სპეციალური სიგელით დააჯილდოვეს. სტატისტიკური მონაცემებით, ისრაელიდან საქართველოს 2016 წელს 92213 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა 2015 წელთან შედარებით 55%-ით მეტია. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ტოპ ათეულში ისრაელი მე-7 ადგილს იკავებს.

APPLE აშშ-ში წარმოებას იწყებს

გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. Apple **აშშ-ში წარმოებას იწყებს. როგორც უცხოური პრესა წერს, საწყის ეტაპზე აშშ-ში კომპიუტერებს ააწყობს, თუმცა ეს MAC არ იქნება.**

შეგახსენებთ, რომ Apple-მა ქალაქ მესაში გიგანტური საწარმოო კორპუსი უკვე ააშენა, რომელსაც გრძელვადიანი ლიზინგით GT Advanced Technologies-სთვის უნდა გადაეცა. თუმცა 2014 წელს GT Advanced Technologies გაკოტრდა. მას შემდეგ აღნიშნულ შენობას კომპანია სამუშაო ცენტრად იყენებს, სადაც iCloud-ის მომხმარებლების ინფორმაცია ინახება.

ტორონტოს ქურდი ციყვები შეესივნენ

ტორონტოს მაღაზიების მეპატრონეები სერიოზული პრობლემის წინაშე დადგნენ. მათ მაღაზიებს ქალაქში მომრავლებული ციყვები შეეჩვივნენ. ისინი მარკეტებიდან თხილს, ტკბილეულობასა და შოკოლადებს იპარავენ. ქურდი ციყვები სათვალთვალო კამერებმა რამდენჯერმე დააფიქსირა.

YAHOO! ALTABA-დ გარდაიქმნება

უკვე ცნობილია, რომ Yahoo! Verizon-თან **გარიგების შემდეგ, სახელს შეიცვლის და ჰოლდინგური** Altaba Inc-**ის სახელით დაიწყებს ოპერირებას.**

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ახალი სახელი მხოლოდ ჰოლდინგურ კომპანიასთან იქნება დაკავშირებული, ბრენდი Yahoo! კი, შენარჩუნდება.

შერწყმის შემდეგ, კომპანიას დატოვებს აღმასრულებელი დირექტორი მარისა მეიერი, ასევე დირექტორთა საბჭოს 5 წევრი, მათ შორის Yahoo! დამფუძნებელი დევიდ ფილო.

◎ანეკდოტები

ცხოვრების გზა კაცმა ისე უნდა განვლო, რომ შენი პორტრეტები ფულის ნიშნებს ამშვენებდეს.

* * *

— ეძიმო, პრობლემა მაქვს — ადამიანების ცნობა გამუდმებით მეშლება!

— მე ექიმი არა ვარ, ბატონო!

* * *

— ძვირფასო, რა აზრისა ხარ სტრუქტურებულ ნახშირბადზე? — ალერსიანად ეკითხება ქმარი ცოლს.

— იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო, უკვე ტვინი მაქვს ამოჭმული შენი ფსევდოინტელექტუალობით და ზედმეტი განათლებულობით! თავი დამანებე, თუ კაცი ხარ!

— მაშასადამე, ბრილიანტის ბეჭედზე უარს ამბობ. ძალიან კარგი!

* * *

— რას იტყვით ახალ თანამშრომელზე? — ეკითხება დირექტორი განყოფილების გამგეს.

— რა გითხრათ, ბატონო... ყველაფერს ძალიან ცუდად აკეთებს... სამაგიეროდ, სისულელეები გამოსდის საუცხოოდ....

თუ ალკოჰოლს ზომიერად მიირთმევთ...

ზომიერი დოზებით ალკოჰოლი თურმე ორგანიზმს რევმატიული ართრიტისგან იცავს, აღმოაჩინეს შეფილდის (დიდი ბრიტანეთის) უნივერსიტეტის მეცნიერებმა.

გამოკვლევაში 1800 მოხალისე მონაწილეობდა და მათზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ ხალხის ჯანმრთელობა, ვინც ალკოჰოლს თვეში ათზე მეტჯერ მოიხმარდა, სიფხიზლის მომხრეთა ჯანმრთელობასთან შედარებით ოთხჯერ უფრო მეტადაა დაცული რევმატიზმისა და ართრიტის განვითარებისგან.

გარდა ამისა, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარება ხელს უწყობს რევმატიზმითა და ართრიტით უკვე დაავადებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. დადებითი ეფექტი აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუკი კაცი ათ თვეში ულუფაზე მეტ სპირტიან სასმელს მიირთმევდა. მეცნიერთა აზრით, ეს გარემოება იმუნურ სისტემაზე ალკოჰოლის სპეციფიკური ზემოქმედებითაა განპირობებული.

ალტრუისტთა წარმატება

ადამიანები, რომლებიც მუდამ მზად არიან სხვებს დაეხმარონ, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთათვის სხვებზე უფრო მეტად მიმზიდველი არიან, ამტკიცებენ კანადელი მეცნიერები.

ასეთ ადამიანებს უფრო მეტი სექსუალური პარტნიორიც ჰყავთ, რაც, ფსიქოლოგთა აზრით, სავსებით კანონზომიერია: ალტრუიზმი ევოლუციის შედეგად განვითარდა და ეს თვისება გარშემო მყოფთათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნიშანია.

თქვენ რომელი ვარსკვლავის ბინადარი ბრძანდებით?

ბევრს, ალბათ, გვიფიქრია — მაინც რამდენი ვარსკვლავია ცაზე?

ქალაქში ბევრ ვარსკვლავს ვერ დავინახავთ ქუჩების კაშკაშა განათების გამო. დიდი ქალაქის ცენტრში დიდი-დიდი 20-30, ჩვენი ნახევარსფეროს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი დავინახოთ. ქალაქგარეთ, კარგ ამინდში, უფრო ნაკლებად კაშკაშა ვარსკვლავებიც გამოჩნდება, ვისაც კარგი მხედველობა აქვს, უკვე 2500-3000 ვარსკვლავს დავინახავთ, რაც ჯამში დაახლოებით 6 ათას ვარსკვლავს მოგვცემს.

თუკი ჭოგრიტს მოვიმარჯვებთ, დაახლოებით 200 ათასი, ტელესკოპით კი 200 მილიონი ვარსკვლავის დანახვას შევძლებთ. პრაქტიკულად ყველა ხილული ვარსკვლავი ჩვენს გალაქტიკას ეკუთვნის, რომელსაც ირმის ნახტომი ეწოდება. თავად ირმის ნახტომი კი 200 მილიარდ ვარსკვლავს მოიცავს. კოსმოსის ხილულ ნაწილში ასეთი ტრილიონზე მეტი გალაქტიკაა, რომელთაგან თითოეული მილიარდობით ვარსკვლავს შეიცავს...

ფერადი სიზმრების საგანგაშო ნიშანი

თუკი თქვენ მუდამ ფერად სიზმრებს ხედავთ, მაშასადამე, საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დაფიქრების სერიოზული საბაბი გაქვთ, მიაჩნიათ ტეხასელ მეცნიერებს.

მათ 25-47 წლის ასაკის მოხალისეთა დახმარებით გამოკვლევა ჩაატარეს. ქალები და მამაკაცები სამ ჯგუფად დაყვეს: პირველში მოხვდნენ ადამიანები შიზოფრენიის დიაგნოზით, მეორეში — ამ ავადმყოფობისადმი ბუნებრივი მიდრეკილების მქონე პირები, მესამეში კი — ფსიქიკურად ჯანმრთელები. აღმოჩნდა, რომ შიზოფრენიკები, სხვებთან შედარებით, ფერად სიზმრებს (მათ შორის კოშმარებს) 20-ჯერ უფრო ხშირად ხედავენ.

ავადმყოფობისადმი ბუნებრივი მიდრეკილებისა და სასაზღვრო აშლილობების მქონე პირები ასევე უმეტესწილად ფერად სიზმრებს ნახულობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7550; ევრო - 2.8969;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3473;
100 რუბლი - 4.5988; თურქული ლირა - 0.7379;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5137;
1000 სომხური დრამი - 5.6874.

ამინდი 11 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -2	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -12	დღე +4
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -2	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -8	დღე +10
თბილისი:	ღამე -1	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE